

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხელნაწერის უფლებით

მირანდა გიორგაშვილი

მიწოდებული ინფორმაციის

რიგის გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე

ფსიქოლოგიის დოქტორის(PHD)აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

მ ა ც ნ ე

2018, თბილისი

მიწოდებული ინფორმაციის რიგის გავლება პირველ შთაბეჭდილებაზე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის სოციალური ფსიქოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: **რევაზ ჯორბენაძე**, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოფიციალური რეცენზენტები: **ჯილ ჯეიკობსონი**, პროფესორი, ქუინსის უნივერსიტეტი, კანადა

დალიფარჯანაძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ია აფთარაშვილი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 23 აპრილს, 14:00 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 11, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კორპუსი, აუდიტორია № 025
დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი: თამარ გაგოშიძე, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

კვლევის მიმოხილვა	5
კვლევის მიზანი	5
კვლევის ამოცანები	6
კვლევის ჰიპოთეზა	6
ძირითადი ცნებების და პროცედურების განმარტება	7
კვლევის დიზაინი	8
მეთოდი	8
კვლევის მასალა	10
კვლევის მონაწილეები	12
პროცედურა	12
კვლევის ეტაპები	12
ძირითადი ექსპერიმენტი	14
მიზანი	14
საექსპერიმენტო მასალა	14
მეთოდი	14
ექსპერიმენტული პირობები	17
შთაბეჭდილებების გაზომვა	17
ჰიპოთეზა ექსპერიმენტული პირობების მიხედვით	17
ცვლადები	18
მონაწილეთა შერჩევა	19
ფოტოების წარდგენისთვის გამოყენებული დრო	19
აქტის წარმმართველი დებულებები	20
გაუქმებული მონაცემები	21
ყურადღები გადამტანი დავალება	21
მესხისერებაზე გათვლილი შეკითხვა	22
პასუხების ჩაწერა	22

პროცედურის მიმდინარეობა	23
შედეგები	24
შთაბეჭდილებების ექიმის ფიგურაზე	24
შთაბეჭდილებები IT-ის ფიგურაზე	38
შედეგების ანალიზი	53
დისკუსია	53
ბადისებრი ქსელის შეფასება და კონტრასტის ეფექტის მნიშვნელობა	58
კვლევის შეზღუდვები	61

1. ნაშრომის ძირითადი შინაარსი

კვლევის მიმოხილვა

1.1. კვლევის მიზანი

ჩვენი კვლევის მიზანია იმის გარკვევა, თუ მართლაც რამდენად დომინანტური შეიძლება იყოს კატეგორიული ინფორმაცია და კატეგორიზაციის პროცესი, ინდივიდის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში? აქამდე, სხვა მკვლევარების მიერ, გამოვლენილი ფაქტორების გარდა, რომლებიც ახდენენ სტერეოტიპის მოქმედების შესუსტებას, საიტერესოა რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციის მიწოდების რიგს, სტერეოტიპის დომინანტურობის და ზოგადად როლიმელიმე ინფორმაციის (ან დამუშავების პროცესის) დომინანტურობის განსაზღვრაში?

სოციალური ფსიქოლოგიის ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ ინფორმაციის დამუშავების ორ სტილს - სტერეოტიპული დამუშავება და ინდივიდუალური დამუშავება. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს ის გავლენა, რომელიც შეიძლება ქონდეს ინფორმაციის მიწოდების რიგს ინფორმაციის დამუშავების ამ ორი სტილის დომინანტურობაზე.

კვლევა ეფუძნება პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელს, რომელიც სოციალური კოგნიციის ჭრილში განიხილეს კუნდა და თაგარდმა (1996). აღნიშნული მოდელის მიხედვით, ინფორმაციის დამუშავება უფრო მთლიანობით პროცესად არის წარმოდგენილი, ვიდრე სერიულად. სერიული დამუშავების მიხედვით, შთაბეჭდილების ფორმირების პირველ ეტაპს ყოველთვის სტერეოტიპიზაცია წარმოადგენს. ეწინააღმდეგება რა სტერეოტიპული დამუშავების დომინანტურობის პრინციპს, პარალელური დამუშავების თეორია უშვებს ინფორმაციების ერთროული და პარალელური დამუშავების შესაძლებლობას. მხოლოდ, ერთადერთ შემთხვევაში - მაშინ, როცა ინფორმაცია წარმოდგენილია გარკვეული რიგით - შეგვიძლია ვისაუბროთ ინფორმაციის დამუშავების რომელიმე სტილის დომინანტურობაზე (სტერეოტიპიზაცია ან ინდივიდუალაცია). მოდელის მიხედვით, სწორედ რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაცია არის ინფორმაციის ის ნაწილი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებას ანუ იმას, თუ ინფორმაციის დამუშავების რომელი სტილი იქნება დომინანტური.

პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის თეორია წარმოადგენს კომპიუტერულ მოდელს - IMP, რომელიც ახდენს შთაბეჭდილების ფორმირებაზე ჩატარებული კვლევების წარმატებულ სიმულირებას. მოდელი იმეორებს და ხსნის ყველა იმ მრავალფეროვან

ექსპერიმენტულ შემთხვევებს, რომლებიც ჩატარებულა სოციალურ კოგნიციაში აშის ზედსართავებზე ჩატარებული კვლევებიდან მოყოლებული. აღსანიშნავია, რომ ამ კვლევითი მონაცემების სიმულირების გარდა, მოცემული მოდელი ემპირიულად დამოუკიდებლად არ შესწავლილა (Kopetz & Kruglanski, 2008). შესაბამისად, არ მომხდარა ამ თეორიის იმ დაშვების ექსპერიმენტული შესწავლა, რომელიც ეხება ინფორმაციის მიწოდების რიგს (Kopetz & Kruglanski, 2008). გარდა ამისა, კვლევა მიზნად ისახავს, იმ ბადისმიერი ქსელის ანუ მენტალური რეპრეზენტაციების და მათში არსებული ასოციაციების მოქმედების შემოწმებასაც, რომლის დახმარებითაც ხდება ინფორმაციის გადამუშავება, პდშთ-ის მიხედვით.

ამგვარად, ჩვენი კვლევა ეფუძნება პდშთ-ს და მიზნად ისახავს შეისწავლოს რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენა, პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში.

1.2 . კვლევის ამოცანები (მოკლედ)

მოცემული კვლევის ამოცანაა აჩვენოს, რომ :

- ინდივიდუაციური ინფორმაცია ისეთივე დომინანტური და შთაბეჭდილების წარმმართველი ძალაა, როგორც შეიძლება იყოს სტერეოტიპული ინფორმაცია
- მიწოდებული ინფორმაციის რიგი განსაზღვრავს ინფორმაციის დამუშავების სტილს და შესაბამისად ცვლის შთაბეჭდილების შინაარსს

ქვეამოცანებია:

- კონკრეტული სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციების მოპოვება
- მათთან დაკავშირებული ასოციაციური ბადის შესწავლა
- მოპოვებული ინფორმაციის ექსპერიმენტულად მანიპულირება, სხვადასხვა რიგით მიწოდების მიხედვით
- ისეთი სკალის შემუშავება, რომლითაც გაიზომება მიწოდებული სტერეოტიპული თუ ინდივიდუაციური ინფორმაციის დომინანტურობა ჩამოყალიბებულ შთაბეჭდილებაში

1.3. კვლევის ჰიპოთეზა

თეორიიდან გამომდინარე ჩვენ ვუშვებთ, რომ: ერთი და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევაში აღმქმელის შთაბეჭდილებაში უფრო მეტად ინტეგრირებული იქნება ის ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულ (აღქმულ, წარდგენილ) იქნა პირველ რიგად. შესაბამისად, *ა) სტერეოტიპული (კატეგორიული) ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში*

შთაბეჭდილობა უფრო მეტად დაეყრდნობა სტერეოტიპს და სამიზნის შესახებ მიწოდებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის ინდივიდუალურიც, ინტერპერტირებულ იქნება შესაბამისი სტერეოტიპული კატეგორიის ჭრილში; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ დომინანტური იქნება ინფორმაციის კატეგორიული (სტერეოტიპული) დამუშავების სტილი; ბ) ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალისტური ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილობა დაეყრდნობა ამ ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს და ყველა ინფორმაცია, მათ შორის სტერეოტიპულიც დანახულ იქნება ინდივიდუალური ინფორმაციის ჭრილში - ამ შემთხვევაში დომინანტური იქნება ინდივიდუალური დამუშავების სტილი. ამგვარად, სტერეოტიპის დონინანტურობა შესაძლებელია, მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მაშინ, როცა ის მიწოდებულ იქნება პირველ რიგად.

1.4. კვლევის ძირითადი ცნებების და პროცედურების განმარტება

მიწოდების რიგი - ინფორმაციის თანმიმდევრობით მიწოდების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ორნაირი ეფექტი - პირველად მიწოდებული (Primacy) და ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის (Recency) ეფექტი. *კდშთ-ისა და ბადისებრი ქსელის მოქმედების პრინციპის საფუძველზე, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ინფორმაციის თანმიმდევრულად მიწოდების შემთხვევაში შთაბეჭდილებაში დომინანტურად ის ინფორმაცია იქნება წარმოდგენილი, რომელიც მიწოდებულია პირველ რიგად. გამოვლინდება პირველობის ეფექტი.*

მიწოდებული ინფორმაცია- მიწოდებულ ინფორმაციაში იგულისხმებს ორი ტიპის ინფორმაცია, კატეგორიული, იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალური. შეგახსენებთ, რომ *კატეგორიული ანუ სტერეოტიპული არის ის სოციალური ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ინდივიდის რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობაზე. ასეთი კატეგორიებია, პროფესია, აღმსარებლობა, სქესი, ასაკი, ეთნოსი და ა.შ.* (Fiske & Neuberg, 1990; Kunda & Sherman-William, 1993; Kunda & Thagard, 1996; Gawronski et al., 2002)

რაც შეეხება ინდივიდუალურ ინფორმაციას, მისი განმარტება არ არის მკაფიოდ მოცემული ლიტერატურაში, თუმცა მაინც, ინდივიდუალური ინფორმაციად მიჩნეულია ყველა დანარჩენი რაც არ არის კატეგორია - ბიოგრაფიული მახასიათებლები, ქცევითი მახასიათებლები და თვისებები (Kunda & Thagard, 1996, p: 235).

სოციალურ შთაბეჭდილებაზე ჩატარებულ ყველა კვლევაში სტერეოტიპულ ინფორმაციად გამოყენებულია სოციალურ ჯგუფზე მიმანიშნებელი ინფორმაცია/ნიშანი, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციად გამოყენებულია ქცევითი ინფორმაცია - უფრო ზუსტად კი - სტერეოტიპის საწინააღდეგო ქცევითი ინფორმაცია.

ინფორმაციის დომინანტურობა - სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობა მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაში განისაზღვრება იმ მახასიათებლების გაზომვით, რომელსაც ასოციაციურად ააქტიურებს ან აკავებს აღქმული სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაცია. ბადისებრი ქსელის პრინციპზე დაყრდნობით, სტერეოტიპული ინფორმაციის დომინანტურობა გამოვლინდება ამ ინფორმაციის მიერ გააქტიურებული ასოციაციების ალგუნებაში და მისთვის არაშესატყვისი ინდივიდუალური ქცევიდან მომდინარე ასოციაციების შეკავებაში. ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობა პირველ შთაბეჭდილებაში, განისაზღვრება ამ ინფორმაციისთვის შესაბამისი ასოციაციების აღძვრით, მაგრამ სტერეოტიპული ასოციაციების შეკავებით.

ამრიგად, სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობა მიღებულ პირველ შთაბეჭდილებაზე (სამიზნე ინდივიდის შესახებ) გაიზომება, იმ ასოციაციების შეკავება/ალგუნების დონის გაზომვით, რომელიც გააქტიურდება ჩვენს მიერ მიწოდებული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის აღქმის შედეგად, შესამაბის მენტალურ (ბადისებრი) ქსელში. ამა თუ იმ ასოციაციური მახასიათებლების აღძვრა შეკავება გაიზომება სპეციალური სკალის დახმარებით, რაზეც ვისაუბრებთ მოგვიანებით.

პირველი შთაბეჭდილება - არსებობს პირველი შთაბეჭდილების მრავალი ფორმა - შთაბეჭდილება სამიზნის შესახებ, რომელიც აღმქმელს მიეწოდება მესამე პირისგან ვერბალური გადმოცემით, შთაბეჭდილება რომელიც ყალიბდება უშუალოდ სამიზნე ინდივიდზე დაკვირვებით (მის ქცევაზე და გარეგნობაზე) (Ames, Fiske & Todorov, 2011) და შთაბეჭდილება, რომელიც გადმოგვეცემა სემანტიკურად - წაკითხვის შედეგად. *წარმოდგენილ კვლევაში ვსწავლობთ პირველი შთაბეჭდილების ისეთ პროცესს, რომელიც აღმქმელს უყალიბდება მისთვის უცნობ სამიზნე ინდივიდზე, მისი ერთხელობრივი ვიზუალური დაკვირვების შედეგად (ქცევისა და გარეგნული მახასიათებლების ვიზუალური აღქმა).*

1.5. კვლევის დიზაინი

მეთოდი

ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე შესწავლილ იქნა ექსპერიმენტის გამოყენებით. ექსპერიმენტში მოხდა ინფორმაციის მიწოდების რიგის ვარირება 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. *ჩვენი მოსაზრების თანახმად, ერთი და იგივე სამიზნე ინდივიდის შესახებ მიწოდებული ერთი და იგივე ინფორმაცია, სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევაში განსხვავებულ შთაბეჭდილებებს გამოიწვევს.*

შეიქმნა მიწოდების რიგის 5 ექსპერიმენტული პირობა, რომელიც ვიზუალურად შეიძლება გამოისახოს კონტინუუმის ფორმით, სადაც კონტინუუმის ორი უკიდურესი მხარე წარმოადგენს მხოლოდ სტერეოტიპულ (მოცემულია მხოლოდ კატეგორიული/სტერეოტიპული ინფორმაცია) და მხოლოდ ინდივიდუაციურ (მოცემულია მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია) ინფორმაციულ პირობას, ხოლო კონტინუუმის შუა ნაწილი შეესაბამება ისეთ შერეულ პირობებს, რომელშიც ორივე ტიპის ინფორმაცია (კატეგორიულიც და ინდივიდუაციურიც) მოცემულია პარალელურად ან სხვადასხვა რიგით. უფრო კონკრეტულადკი ექსპერიმენტული პირობების კონტინუმი ასე გამოიყურება:



ფიგურა 5. ექსპერიმენტული პირობების კონტინუმი

N1 პირობაში– მიწოდებულია მხოლოდ სტერეოტიპული (კატეგორიული) ინფორმაცია - **მხოლოდ სტერეოტიპული პირობა**

N5 პირობაში - მიწოდებულია მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია - **მხოლოდ ინდივიდუაციური პირობა**

N2 პირობაში - მიწოდებულია ჯერ სტერეოტიპული ინფორმაცია (N1 პირობიდან) და შემდეგ ინდივიდუაციური ინფორმაცია (N5 პირობიდან) - **სტერეოტიპული რიგის პირობა**

N4 პირობაში - მიწოდებულია იგივე ინფორმაცია შებრუნებული რიგით - ჯერ ინდივიდუაციური ინფორმაცია (N5 პირობიდან) და შემდეგ სტერეოტიპული ინფორმაცია (N1 პირობიდან) - **ინდივიდუაციური რიგის პირობა**

N3 პირობაში - მიწოდებულია ორივე ტიპის ინფორმაცია ერთდროულად/პარალელურად - **ერთდროული მიწოდების პირობა**.

როგორც ხედავთ, **N2 და 4** არის ის ორი პირობა, სადაც უშუალოდ არის მანიპულირებული **დამოუკიდებელი ცვლადი** - მიწოდებული ინფორმაციის რიგი. ამიტომ ეს პირობები არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ორი ექსპერიმენტული პირობა.

1.6. კვლევის მასალა

შინაარსები

ექსპერიმენტში ინფორმაციის რიგის მანიპულირება მოხდა იმ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის გამოყენებით, რომლებიც შევარჩიეთ წინასწარ.

- ჩვენს კვლევაში **სტერეოტიპულ ინფორმაციად გამოყენებულ იქნა პროფესიული კატეგორია**. შეირჩა ოთხი პროფესიული კატეგორია და ერთი სოციალური როლის აღმნიშვნელი კატეგორია- *ექიმი, ლექტორი, IT სპეციალისტი, მზარეული და ტიპური ქართველი კაცი*. მოცემული სტერეოტიპული კატეგორიების არჩევა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მათ ვიზუალური გამოსახვა ადვილი განსახროციელებელია ჩვენს ექსპერიმენტულ პირობებში, მონაწილეებისთვის წარსადგენად.

- რაც შეეხება **ინდივიდუალურ ინფორმაციას**, შევარჩიეთ თითოეული ზემოდასახელებული **კატეგორიის საწინააღდეგო ქცევა, რომელიც მიუთითებს გარკვეულ თვისებაზე**.

ინდივიდუალურ ინფორმაციად შეირჩა არა ნებისმიერი, არამედ შერჩეული კატეგორიის/სტერეოტიპის საწინააღდეგო ქცევა. ამის მიზეზი არის აქამდე არსებული კვლევითი მონაცემები, რომლებიც ნათლად აჩვენებს, რომ მხოლოდ იმ ინფორმაციას აქვს სტერეოტიპის რღვევის და ინდივიდის ინდივიდუალურ ჭრილში აღქმის ძალა, რომელიც ეწინააღდეგება პარალელურად გააქტიურებულ სტერეოტიპს. **ასეთ ინდივიდუალური ქცევით ინფორმაცია არის ის, რომელიც : ა) ნათლად-მკაფიოდ არის მოწოდებული გარემოში ბ) შინაარსობრივად არის გარკვეული ანუ არაორაზროვანი გ) არის რომელიმე თვისების მადაგნოზირებელი, ხოლო თავის მხრივ ეს თვისება არის პარალელურად გააქტიურებული სტერეოტიპის საწინააღდეგო- არაკონსისტენტური** (Locksley et al., 1980; Pratto & Bargh, 1991; Kunda & Sherman-William, 1993; Baron et al., 1995; Kunda & Thagard, 1996; Kunda et al., 1997).

ექსპერიმენტის სტიმულ-მასალა

ინფორმაციული შინაარსების განსაზღვრის შემდეგ, შეიქმნა ექსპერიმენტული მასალა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი კვლევის მიზანი არის ისეთ შთაბეჭდილების კვლევა, რომელიც აღმქმელს უყალიბდება უცნობი ინდივიდის ერთხელობრივი ვიზუალური აღქმის შედეგად. სწორედ ამის გამო, ექსპერიმენტულ პირობებში სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდება მოხდა არა სემანტიკური (დაწერილი ან სიტყვიერი), არამედ ვიზუალური ფორმით.

ხუთივე შერჩეულ თემაზე (ექიმი, ლექტორი, მზარეული, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი - IT და ტიპური ქართველი კაცი) შეიქმნა სპეციალური

ფოტოები. მოცემულ ფოტოებში, თითოეულ ტიპაჟთან დაკავშირებით გამოსახულ იქნა ერთი მხრივ სტერეოტიპული და მეორე მხრივ ინდივიდუალური ქცევის დეტალები.

ამრიგად, შეიქმნა ისეთი ფოტოები, რომლებიც ასახავს ჩვენ მიერ შერჩეული პროფესიების სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ქცევით სცენებს. ყველა ფოტო ასახავს რეალურ ადამიანს, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. მნიშვნელოვანი იმის აღნიშვნა, რომ თითოეული პროფესიული კატეგორიის შიგნით გამოყენებულ იქნა ერთ და იგივე ფიგურა (რადგან სულ შერჩეულ 5 სტერეოტიპული თემა, შესაბამისად გამოყენებულ იქნა 5 ფიგურა - ექიმის ფოტოები შეიქმნა ერთსად იმავე ფიგურის გამოყენებით, ლექტორის ფოტოები შეიქმნა ერთი და იმავე ფიგურის გამოყენებით და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში გამოიყენება ზუსტად იგივე ინფორმაცია, რაც N1 და 5 პირობაში, მაგრამ მათი წარგდენა N2 და 4 პირობაში არა ცალცალკე, არამედ რიგით განხორციელდა. რაც შეეხება პარალელური/ერთდროული მიწოდების პირობას, აქ ორი ურთიერთსაწინააღდეგო ინფორმაცია მიწოდებულ იქნა არა გარკვეული რიგით, არამედ ერთდროულად ერთი ფოტოს სახით (სადაც ერთადაა გაერთიანებული N1 და 5 პირობაში წარმოდგენილი სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ვიზუალური დეტალები). ამგვარად თითოეულ შერჩეულ თემაზე შეიქმნა სამი ფოტო - ფოტო N1, N5 და N3 პირობისთვის. N2 და N4 პირობაში კი N1 და N5 პირობის ფოტოების გამოყენება მოხდა. სულ შეიქმნა 12 ფოტო.

- N1 ექსპერიმენტულ პირობაში შეიქმნა სტერეოტიპული ინფორმაციის გამომხატველი ფოტო
- N5 პირობაში - ინდივიდუალური ქცევის გამომხატველი ფოტო
- N2 პირობაში - გამოყენებულ იქნა N1 და N5 ფოტო, თანმიმდევრობით: ჯერ სტერეოტიპული ინფორმაცია და შემდეგ ინდივიდუალური
- N4 პირობაში - გამოყენებულ იქნა N1 და N5 ფოტო, თანმიმდევრობით: ჯერ ინდივიდუალური ინფორმაცია და შემდეგ სტერეოტიპული
- N3 პირობაში შეიქმნა ფოტო, რომელშიც გაერთიანდა N1 და N5 პირობაში მოცემული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ვიზუალური დეტალები.

ყველა ფოტოზე, გამოსახულ იქნა მამრობითი სქესის ფიგურა, რომელის სახეც დაბურულ იქნა.

1.7. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-23 წლის ორივე სქესის ახალგაზრდებმა. კვლევა არ არის ორიენტირებული ასაკობრივი სხვაობის, ან სტერეოტიპული შინაარსების სხვაობის შესწავლაზე. ის ორიენტირებულია იკვლიოს გარკვეული ბაზისური კოგნიტური პროცესი. თუმცა რადგან ამ პროცესის კვლევაში დამოკიდებული ვართ ისეთ კონკრეტულ შინაარსებზე (როგორც არის სტერეოტიპული და ქცევასთან დაკავშირებული მენტალური წარმოდგენები), რომლებიც ყალიბდება გამოცდილებით ასაკთან ერთად, გადაწყვეტეთ ერთი ასაკობრივი ჯგუფით შემოფარგვლა. ხსენებული ასაკის მონაწილეების შერჩევა მოხდა მათ ხელმისაწვდომობის გათვლით.

1.8. პროცედურა

შეგახსენებთ, რომ დაგემიმილი ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით, მის ჩატარებამდე განხორციელდა რამდენიმე წინასწარი კვლევა. თითოეულ კვლევაში არის შესაბამისი პროცედურა და ინსტრუქცია.

1.9. კვლევის ეტაპები

ზემოხსენებული ექსპერიმენტის ჩატარების მიზნით ჩვენი ამოცანა არის:

- სტერეოტიპული და მისი საწინააღდეგო ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის შერჩევა. მეტი ობიექტურობისთვის გადაწყდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სტერეოტიპული თემის გამოყენება, ანუ გადაწყდა რიგში პირველობის გავლენის შესწავლა რამდენიმე მენტალური რეპრეზენტაციის მაგალითზე.
- იმ ასოციაციების გამოვლენა, რომელიც კავშირშია თითოეულ შერჩეულ სტერეოტიპთან და შერჩეულ ინდივიდუალურ ქცევასთან. შინაარსების მხოლოდ ასეთ შესწავლის დახმარებით გახდა შესაძლებელი ვიზუალური ფოტო მასალის ჩამოყალიბება და შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის შედგენა.
- თითოეულ შერჩეულ სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ თემასთან დაკავშირებით სცენარების შექმნა და ექსპერიმენტული მასალის - ფოტოების ჩამოყალიბება
- და ბოლოს, მახასიათებელთა სკალის შედგენა, რომელითაც გაიზომა მიღებულ შთაბეჭდილებებში სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტობა.

ამ ამოცების შესრულების მიზნით, ძირითად ექსპერიმენტამდე დაიგეგმა წინასწარი კვლევები, რომლებმაც მოამზადა საფუძველი ექსპერიმენტის ჩატარებისთვის. კვლევის თითოეულ ეტაპზე მოხდა ექსპერიმენტულ მასალაზე

და შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაზე მუშაობა. სულ გამოიყო კვლევის 7 ეტაპი, რომელთა მოკლე დახასიათება არის მოცემული ქვევით:

1 სტერეოტიპული თემების შერჩევა - მოხდა 5 სტერეოტიპული თემის შერჩევა

2 სტერეოტიპული ზადის გამოკვლევა - თითოეული კატეგორიული თემისთვის, მოხდა სტერეოტიპული და ინდივიდუალური ქცევითი შინაარსების გამოვლენა.

ამ ეტაპზე ჩატარდა ორი კვლევა:

- თვითადმინისტრირებული ღია კითხვიანი კითხვარის დახმარებით სტერეოტიპული შინაარსების გამოვლენა

- ფოკუს ჯგუფი - ინდივიდუალისტური ქცევითი შინაარსების განვლენა.

3 სტერეოტიპული შინაარსების რაოდენობრივი გადამოწმება - ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა, შერჩეული ხუთი ტიპაჟის სტერეოტიპულ დახასიათებასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე გამოვლინდა დამატებითი ინდივიდუალური ქცევითი დახასიათებებიც თითოეული სტერეოტიპული ტიპაჟისთვის.

4 შეიქმნა სცენარები და ფოტოები - ჩატარდა პილოტაჟი შექმნილ ფოტოებთან დაკავშირებით

5 მოხდა ინდივიდუალური ქცევებთან დაკავშირებული ასოციაციების გამოვლენა (ინდივიდუალური მენტალური ზადის გამოვლენა)

6 შეიქმნა შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალა - ამ მიზნით, ჩატარდა ორი კვლევა:

- თითოეული პროფესიული თემისთვის შეიქმნა შთაბეჭდილების გასაზომი სკალა, რომელშიც შევიდა ამ პროფესიული თემის სტერეოტიპული და ინდივიდუალური ასოციაციები

- სკალის გადამოწმების მიზნით ჩატარდა პილოტაჟი

7 ჩატარდა ძირითადი ექსპერიმენტი

ამრიგად, მთლიანობაში ამ წინასწარი კვლევებით ა) განსაზღვრა ის კატეგორიული თემები, რომელთა შესახებაც მოხდა ინფორმაციის ვარირება - შეირჩა პროფესიები ბ) შესწავლილ იქნა არჩეული კატეგორიების სტერეოტიპული და ინდივიდუალური შინაარსები გ) შესწავლილი შინაარსების საფუძველზე შეიქმნა სტერეოტიპული და კატეგორიული ფოტოები და ბოლოს დ) ჩატარდა ძირითადი ექსპერიმენტი, რომელშიც შემოწმდა რიგის გავლენა შთაბეჭდილებაზე.

2. ძირითადი ექსპერიმენტი

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია, მხოლოდ ძირითადი ექსპერიმენტი. ძირითად ექსპერიმენტამდე ჩატარებული წინასწარი კვლევების მონაცემები დაწვრილებით წარმოდგენილია ნაშრომის სრულ ვერსიაში.

აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე სულ გამოიყო 5 კატეგორია (4 პროფესიული (ექიმი, ლექტორი, მზარეული და IT) და ერთი როლური კაგეგორია (ტიპიური ქართველი კაცი)), თუმცა ძირითადი ექსპერიმენტი ჩატარდა მხოლოდ ორ კატეგორიაზე (ექიმი და IT). წინასწარმა ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ გარკვეული გაკეგორიებისთვის შექმნილი ფოტოები ვერ ახდენდნენ ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის გააქტიურებას (რაც ვიზუალურად იყო ჩადებული განგებ ჩვენს მიერ), ამიტომ აღნიშნულ კატეგორიებთან მუშაობა შეწყდა. სწორედ ამ მიზეზით, საბოლოო და ძირითადი ექსპერიმენტში მოხდა ინფორმაციის ვარირება მხოლოდ ექიმისა და IT კატეგორიების ირგვლივ.

2.1. მიზანი

კვლევის მოცემულ ეტაპის მთავარი მიზანი არის ექსპერიმენტის ჩატარება და უშუალოდ იმ გავლენის შესწავლა, რომელსაც ახდენს ინფორმაციის მიწოდების რიგი შთაბეჭდილებაზე.

2.2. საექსპერიმენტო მასალა

ექსპერიმენტის მასალას წარმოადგენს ექიმისა და IT-ის პროფესიასთან დაკავშირებით სპეციალურად შექმნილი თემატური ფოტოები.

2.3. მეთოდი

რიგის გავლენის შესწავლის მიზნით, ჩატარდა კვაზი ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა 5 ექსპერიმენტული პირობა, სადაც მონაწილეთათვის მიწოდებულ იქნა ერთ და იგივე ფიგურის (ექიმი ან IT) შესახებ, ერთი და იგივე ინფორმაცია, სხვადასხვა რიგით. ის თუ როგორ მოხდა ინფორმაციის მიწოდება თითოეული ექსპერიმენტული პირობის მიხედვით, თითოეული პროფესიული თემისთვის იხილეთ ცხრილში 1 და 2 .


ცხრილი.1. ექიმისთვის ჩამოყალიბებული ფოტოები და მათი განაწილების წესი ექსპერიმენტული პირობების მიხედვით

ექიმი


N1 - მხოლოდ სტერეოტიპული პირობა



N2 - სტერეოტიპული პირობა




N3 - ერთდროული მიწოდების პირობა



N4 - ინდივიდუალური პირობა



N5 - მხოლოდ ინდივიდუალური პირობა




ცხრილი.2. IT - სთვის ჩამოყალიბებული ფოტოები და მათი განაწილების წესი
ექსპერიმენტული პირობების მიხედვით

IT


N1 - მხოლოდ სტერეოტიპული პირობა



N2 - სტერეოტიპული პირობა



N3 - ერთდროული მიწოდების პირობა



N4 - ინდივიდუალური პირობა



N5 - მხოლოდ ინდივიდუალური პირობა



2.4. ექსპერიმენტული პირობები

ხსენებული 5 ექსპერიმენტული პირობიდან, რიგის გავლენის უშუალო კვლევა ხდება **N2** და **4** პირობაში, სადაც მანიპულირებულია რიგის ცვლადი. მოცემული პირობები არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ექსპერიმენტული პირობები, რომელშიც ნათლად გამოჩნდება რიგში პირველობის ეფექტი. მათგან განსხვავებით, პირობა **N3** არის ის საკონტროლო პირობა, რომელშიც იგივე ორი ინფორმაცია - სტერეოტიპული და ინდივიდუალური - არა გარკვეული რიგით, არამედ ერთდროულად არის წარმოდგენილი.

2.5. მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვა

- ❖ ასოციაციების აღძვრა-შეკავების პროცესი გაიზომა სპეციალურად შედგენილი მახასიათებელთა სკალის გამოყენებით. მოცემულ სკალაში წარმოდგენილ იქნა ის ასოციაციები, რომლებიც ბადისებრ ქსელში უკავშირდება ჩვენ მიერ შერჩეულ სტერეოტიპულ კატეგორიას და ასევე, ის ასოციაციები, რომლებიც უკავშირდება ჩვენს მიერ შერჩეულ ინდივიდუალურ ქცევს (და მის უკან მოაზრებული თვისების) კატეგორიას. გამოდის, რომ მახასიათებელთა ეს სკალა ასახავს ბადისებრი ქსელის იმ არეს, რომელშიც მოცემულია ჩვენს მიერ შერჩეული სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის რეპრეზენტაციები და რომლებიც მონაწილეობს, ჩვენს მიერ მონაწილეთათვის წარდგენილი ინფორმაციის გადამუშავებაში.
- ❖ თითოეულ ექსპერიმენტულ პირობაში, სწორედ ამ სკალაში შემავალი ასოციაციური მახასიათებლების გამოყენებით, მოხდა სამიზნე ინდივიდის შეფასება. ასოციაციური მახასიათებლები ჩამოყალიბდა დებულებების სახით და შეფასდა 11 ბალიანი შეფასების სკალის დახმარებით, რომლის მნიშვნელობებია 1-11 ქულა (1 - ყველაზე დაბალი/უარყოფითი მნიშვნელობა, 11-ყველაზე მაღალი/ დადებითი მნიშვნელობა).

2.6. ჰიპოთეზა თითოეული ექსპერიმენტული პირობის მიხედვით

მიღებული შთაბეჭდილებების გაზომვის ზემოგანხილული პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ ველით, რომ :

N1 ექსპერიმენტულ პირობაში - მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების გამო, მივიღებთ სტერეოტიპულ შთაბეჭდილებას, სადაც აღიძვრება სტერეოტიპიდან გამომდინარე ასოციაციური მახასიათებლები და შეკავდება სხვა ასოციაციები - სტერეოტიპული ასოციაციები შეფასებულ იქნება მაღალი ქულით, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის მახასიათებლები დაბალი ქულით .

N5 პირობაში - მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდების გამო, მივიღებთ შთაბეჭდილებას, სადაც გააქტიურდება ინდივიდუალური ინფორმაციიდან გამომდინარე ასოციაციები, მაგრამ შეკავდება სტერეოტიპული ასოციაციები. შესაბამისად ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებლები შეფასდება მაღალი ქულით, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებლები დაბალი ქულით.

N2 პირობაში(სტერეოტიპის პირველობის ეფექტი)- სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების გამო, მივიღებთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომელშიც უფრო მეტად აღიძვრება სტერეოტიპთან დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლები, ხოლო ინდივიდუალური ქცევასთან დაკავშირებული მახასიათებლები უფრო შეკავდება, ვიდრე ეს მოხდება ამობრუნებული რიგის პირობაში (იქ სადაც სტერეოტიპი არ არის მიწოდებული პირველ რიგად - N4 პირობა).

N4 პირობაში (ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის ეფექტი) - შთაბეჭდილება უნდა წარიმართოს ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის (და მის საფუძველად მდებარე თვისების) ასოციაციების გააქტიურებით. უფრო კონკრეტულად კი ვვარაუდობთ, ინდივიდუალური ინფორმაციის პირველად რიგად მიწოდების გამო, მოცემულ პირობაში ამ ინფორმაციასთან დადებითად დაკავშირებული ასოციაციური მახასიათებლები უფრო მეტად აღიძვრება, ხოლო სტერეოტიპული ინფორმაციით გააქტიურებული ასოციაციური მახასიათებლები უფრო მეტად შეკავდება, ვიდრე ეს მოხდება ამობრუნებული რიგის პირობაში (N2) (სადაც, არა ინდივიდუალური, არამედ სტერეოტიპი ინფორმაციაა მიწოდებული პირველ რიგად).

N3 პირობაში (პარალელური/ერთდროული მიწოდების პირობა) - ორივე ინფორმაციის ერთდროული მიწოდების გამო, მიღებულ შთაბეჭდილებაში თანაბარად იქნება გააქტიურებული, როგორც სტერეოტიპული ასევე ინდივიდუალური ინფორმაციის ასოციაციები. პდშთ-ია ინფორმაციის სწორედ ასეთი ერთდროული აღქმის შემთხვევებს ეხება. ერთდროული აღქმის შედეგად გააქტიურებული პარალელურ დამუშავების პროცესში, ამ თეორიის მიხედვით, სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია თანაბარი სტატუსით იღებს მონაწილეობას. ეს თანაბრობა ვვარაუდობთ, რომ გამოვლიდება გასაშუალოებულ შეფასებებში, როცა არ იკვეთება არც სტერეოტიპული და არც ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენის დომინანტობა.

2.7. ცვლადები

დამოუკიდებელი ცვლადი - მიწოდებული ინფორმაციის რიგი

დამოკიდებული ცვლადი -შექმნილ შთაბეჭდილებაში შემავალი ასოციაციების აღძვრა/შეკავების ზომა (გაზომილი მახასიათებელთა ასოციაციური სკალის გამოყენებით)

გვერდითი ცვლადები- გვერდით ცვლადებიდან გაკონტროლებულ იქნა:

- მონაწილეთა ასაკი, კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებზე - 18-23 წლის წარმომადგენლებზე.
- გაკონტროლებულ იქნა ფოტოებზე გამოსახული ფიგურის სქესი - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მამრობითი სქესის ფიგურები.
- გაკონტროლებულ იქნა ფოტოში გამოსახული ფიგურის სახე (რომელიც იქნა დაბურული). ფოტოდან ამოღებულ იქნა ისეთი ვიზუალური დეტალები, რომლებიც არ იწვევს დამატებით - კვლევით არაგათალისწინებულ - პროფესიული ხატების გააქტიურებას.
- გაკონტროლებულ იქნა, მონაწილეში მენტალური ზადის აქტივაცია. იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული პროფესიების შესახებ მონაწილეს ქონდა განსხვავებული შინაარსის სტერეოტიპი, ან იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს გაუაქტიურდა სხვა პროფესიული სტერეოტიპი, მოცემული მონაწილეთა მონაცემების ამოღებულ იქნა შემდგომი

2.8. მონაწილეთა შერჩევა

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს 18-23 წლის, ორივე სქესის წარმომადგენლებმა. ყველა მათგანი არის სტუდენტი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის და ტურიზმის მენეჯმენტის სტუდენტები). მათი შერჩევა მოხდა ხელმისაწვდომი შერჩევის გზით. არ განხორციელებულა ალბათური შერჩევა.

2.9. ფოტოების წარდგენისთვის გამოყენებული დრო

მონაწილეებისთვის ფოტოების მიწოდება მოხდა ელექტრონულად, ლეპტოპის გამოყენებით. ფოტოების გაშვება განხორციელდა სლაიდშოუს პროგრამის დახმარებით.

თითოეული ტიპის ფოტოსთვის, მიწოდების დროის განსაზღვრა მოხდა ფოტოების პილოტაჟის ეტაპზე ჩატარებული ფოტოების აპრობაციის საფუძველზე. დაანგარიშებული იქნა ის საშუალო დრო რომელიც დაჭირდათ რესპონდენტებს ფოტოების ჩვენებიდან პასუხის დაწყებამდე.

ფოტოების ექსპოზიციისთვის განსაზღვრულ იქნა შემდეგი დროები:

- სტერეოტიპული ფოტოს მიწოდების დრო 45 წამი
- ინდივიდუალური ფოტოს მიწოდების დრო ასევე 45 წამი
- შერეული ფოტოს მიწოდების დრო 55 წამი
- N2 და 4 პირობებში, რიგით მიწოდების მიუხედავად, სტერეოტიპული ფოტოს მიწოდება მოხდა სტერეოტიპული ფოტოსთვის განკუთვნილი დროის მიხედვით (45წმ), ხოლო ინდივიდუალური ფოტოს მიწოდება მოხდა ამ ფოტოსთვის განკუთვნილი დროის მიხედვით (45წმ).

2.10. აღქმის წარმართველი დებულებები

აღქმის მიმართულების მიმცემი დებულებები, არის შეკითხვები რომელიც მონაწილეებს შესაფასებლად მივეცით ფოტოს ექპოზიციის პარალელურად, საწყის ეტაპზე. აღქმის წარმართველი დებულებების საშუალებით მონაწილეთა ყურადღება მივმართეთ ფოტოზე გამოსახული ძირითადი ინფორმაციის მიმართულებით. ასევე, აღქმის წარმართველ დებულებებზე მიღებული შეფასებებით დავადგინეთ ის თუ რამდენად გააქტიურა მოცემულმა ფოტომ მასში ჩადებული შინაარსი (*11 ბალიან სკალაზე 1-6 შეფასება ჩაითვალა, რომ შინაარსი არ გააქტიურდა საკმარისად, ხოლო 7-11 შეფასება ინტერპრეტირებულ იქნა, როგორც ამ შინაარსის გააქტიურება*). იმ შემთხვევაში, თუ ფოტოზე გამოსახული ვიზუალური ინფორმაცია, მონაწილეში საკნარისად ვერ ააქტიურებდა მასში ჩადებულ ინფორმაციას, ხდებოდა ამ მონაწილის მონაცემების გაუქმება.

თითოეულ ფოტოს შეესაბამება აღქმის წარმართველი დებულებების მისი წყება.

თითოეული ფოტოსთვის განკუთვნილი აღქმის წარმართველი დებულებებია:

- ექიმის სტერეოტიპული ფოტოს დებულება -ტიპიური ექიმია*(მხოლოდ ერთი დებულება, რომელიც ასახავს ფოტოში გადმოცემულსტერეოტიპულინფორმაციას)*
- ექიმის ინდივიდუალური ფოტო -1)ტიპიური ექიმია; 2) ზის უსუფთაო ოთახში; 3)უყვარს კომპიუტერების თამაში*(3 დებულება - ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულება; მონაცემების დამუშავების ეტაპზე, რეგრესიული ანალიზის განხორციელების მიზნი მოცემულ ფოტოში მაინც დარჩა სტერეოტიპული ინფორმაციის გადამამოწმებელი დებულება).*
- ექიმის შერეული ფოტო -ტიპიური ექიმია - 1)ტიპიური ექიმია; 2) ზის უსუფთაო ოთახში; 3)უყვარს კომპიუტერების თამაში *(3 დებულება - ერთ სტერეოტიპული და ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულება)*
- IT სტერეოტიპული ფოტო -1) ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (IT ან პროგრამისტი), 2) ზის მოუწესრიგებელ ოთახში*(2 დებულება - სტერეოტიპული ინფორმაციის ამსახველი დებულებები)*
- IT ინდივიდუალური ფოტო - 1) ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (IT ან პროგრამისტი), 2) უყვარს ოთახის ყვავილები; 3)უყვარს ოპერა -ბალეტი *(3 დებულება - ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულებები. მოცემულ ფოტოში, კვლავ რეგრესიული ანალიზის განხორციელების მიზნით, დარჩა სტერეოტიპული ინფორმაციის ამსახველი დებულება)*
- IT შერეული ფოტო - 1)ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია (IT ან პროგრამისტი), 2) ზის მოუწესრიგებელ ოთახში, 3)უყვარს ოთახის ყვავილები; 4)

უყვარს ოპერა (ბალეტი)(4 დებულება - ორი სტეროტიპული და ორი ინდივიდუალური ქცევის ამსახველი დებულება)

2.11. გაუქმებული მონაცემები

N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობების მიმდინარეობისას გაუქმდა 20 მონაწილის მონაცემი.

მონაცემები გაუქმდა იმ შემთხვევაში, როცა :

- რიგში პირველად მიწოდებულმა ფოტომ მონაწილეში ვერ გააქტიურა დაგეგმილი შინაარსი. ეს კარგად გამოჩნდა მონაწილის მიერ აღქმის მიმართულების მიმცემ დებულებების შეფასებაში. ასეთ შემთხვევებია:

როცა პროფესიის სტეროტიპულ ფოტოზე, ტიპიურობის შეფასება მოხდა 1 და 6 ქულის ჩათვლით (მაგ: ექიმი, რესპონდენტისთვის არ წარმოადგენს ტიპიურ ექიმს);
ან/და
 როცა ინდივიდუალურ ფოტოში ქცევის ჩვენს მიერ მიწოდებული ინტერპრეტაცია უარყოფილ იქნა და შეფასებულ იქნა 1-6 ქულით. (მაგ: ექიმის ინდივიდუალურ ფოტოში მოუწესრიგებლობა შეფასებულ იქნა ასევე 1 -6 ქულით, ასევე, კომპიუტერული თამაშებით გატაცება ასევე 1-6 ქულით. გამოდის, რომ ასეთ შემთხვევაში ფოტოზე გამოსახული ფიგურა არ იქნა აღქმული როგორც თამაშის მოყვარული და მოუწესრიგებელ ოთახში მჯდომი - ე.ი. როცა უარყოფილ იქნა ფოტოზე გამოსახული ორივე ინდივიდუალური ქცევა).

- მონაცემები არ გაუქმებულა N1 , 3 და 5 ექსპერიმენტულ პირობაში.

2.12. ყურადღების გადამტანი დავალება

მონაწილეებს N2 და 4 პირობაში სხვადასხვა რიგით მიეწოდათ ორი განსხვავებული ინფორმაცია, ერთი და იგივე ადამიანის შესახებ. ამ ექსპერიმენტულ პირობებში ორი ინფორმაციის მიწოდებისას საჭირო გახდა ფოტოების ისე მიწოდება, რომ შექმნილიყო რიგის ეფექტი. ამისათვის კი საჭირო გახდა გარკვეული ინტერვალის დაცვა ფოტოებს შორის ამ მიზნით შერჩეულ იქნა „ფერების დავალება“, რომელიც მონაწილეებს თხოვს ფერების არჩევას მიწოდებული მუყაოს ფირფიტებიდან, რომლებზეც გამოსახულია მრავალი ფერი. ფერების ფირფიტებთან ერთად (4 ცალი ფირფიტა) მონაწილეებს ასევე მიეცათ შეკითხვების ფურცელი, რომელშიც მოცემულია ის კონკრეტული 5 დავალება რის მიხედვითაც უნდა აარჩიონ ფერები წარდგენილი ფირფიტებიდან.

აღნიშნულმა დავალებამ მოითხოვა 10-15 წუთი.

2.13. მეხსიერებაზე გათვლილი შეკითხვა

N2 და 4 ექსპერიმენტულ პირობაში, რომელშიც მოცემულ იქნა ორი უერთიერტსაწინააღმდეგო ინფორმაცია ერთი და იგივე ინდივიდის შესახებ, გამოყენებულ იქნა მეხსიერების მასტიმულირებელი შეკითხვები. ეს შეკითხვები დაისვა მეორე ფოტოს მიწოდების წის და შეეხო ორ დეტალს - ფოტოზე გამოსახული ფიგურის ინიციალის გახსენებას და პირველი ფოტოს შინაარსის გახსენებას - *“გახსოვს პირველი ფოტოს შინაარსი და მისი ინიციალი?”*

პირველი ფოტოს შინაარსის შემახსენებელი შეკითხვის დასმა განაპირობა შემდეგმა მიზეზმა:

- ის რომ მოცემული პირობებში, შეიძლება გაზრდილიყო ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის გავლენა, ჩანს აქამდე ჩატარებული კვლევებიდან, რომლის თანახმადაც **პასუხის გაცემის განმეორებითი სტილი და პასუხის ხმამაღლა (ვერბალურად) გაცემის წესი**, ზრდის ბოლოს მიწოდებული ინფორმაციის გავლენას (Dreben, Fiske & Hastie, 1979). ჩვენს კვლევაში, ხსენებულ ექსპერიმენტულ პირობებში, გამოიყენება პასუხის გაცემის ორივე წესი. სწორედ ამ მიზეზით, რათა შეგვემცირებინა პროცედურით გამოწვეული ბოლოს ინფორმაციის დომინანტურობა გამოვიყენეთ პირველი ფოტოს შინაარსის შემახსენებელი შეკითხვა.

2.14. პასუხების მოწოდება

მონაწილეების პასუხების ჩაწერა მოხდა ორნაირად: 1) ვერბალურად და 2) შთაბეჭდილების გასაზომ მახასიათებელთა სკალაში მახასიათებლების შეფასების გზით. პასუხების მოწოდების ორი ფორმის მიუხედავად, გაანალიზდა მხოლოდ ის პასუხები, რომლებიც მონაწილეების მხრიდან მოწოდებულ იქნა შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალის გამოყენებით.

2.15 . პროცედურის მიმდინარეობა

მონაწილის საექსპერიმენტო ოთახში შემოსვლის შემდეგ, ექსპერიმენტის საფეხურები წარიმართა შემდეგნაირად:

- მონაწილე განთავსდა კომპიუტერთან, სადაც მომზადებული იყო წარსადგენი ფოტოები

- მოხდა კვლევის მიზნის ახსნა და ინსტრუქციის მიცემა
- პირველი ფოტოს წარდგენა და ფოტოს პარალელურად, აღქმის წარმმართველი დებულებების მიწოდება სპეციალურ ფურცელზე, სადაც თითოეული დებულება 11 ბალიან შეფასების სკალაზე უნდა შეფასდეს.
- ფოტოს პრეზენტაციისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, ფოტოზე გამოსახულ ფიგურასთან დაკავშირებით შექმნილი ღია ვერბალური შთაბეჭდილებების ჩაწერა დიქტოფონზე, ხოლო შემდეგ ამავე ფიგურასთან დაკავშირებით ასოციაციურ მახასიათებელთა სკალის შევსება
- ყურადღების გადამტანი დავალების მიცემა - ფერების დავალება, რომელმაც მოითხოვა საშუალოდ 10 წუთი
- მეორე ფოტოს მიწოდება. ფოტოს პარალელურად ამ ფოტოს შესაბამისი აღქმის წარმმართველი დებულებების მიწოდება - შევსება.
- *შენიშვნა: შეგახსენებთ, რომ N2 და 4 პირობაში, სხვა ექსპერიმენტული პირობებისგან განსხვავებით, მეორე ფოტოს მიწოდებამდე მოხდა მეხსიერებაზე გათვლილი შეკითხვის დასმა.*
- მეორე ფოტოს პრეზენტაციის ამოწურვის შემდეგ მონაწილის ღია ვერბალური პასუხის დიქტოფონზე ჩაწერა და ამ ფოტოზე გამოსახული ფიგურის შესაფასებლად, მახასიათებელთა სკალის შევსება.
- *შენიშვნა: როგორც უკვე აღვნიშნეთ N2 და 4 პირობაში, შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებლის სკალა შეივსო ორივე ფოტოს ნახვის შემდეგ. დანარჩენ პირობაში, კი ეს სკალა შეივსო მიწოდებული ერთი ფოტოს წარდგენის შემდეგ.*
- დებრიფინგი
- დემოგრაფიული მონაცემების ჩანიშვნა

3. შედეგები

(ძირითადი ექსპერიმენტი)

აქ წარმოდგენილია ძირითად ექსპერიმენტში მიღებული შედეგები.

მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა SPSS 20 პროგრამის გამოყენებით. გამოთვლილ იქნა ფაქტორული და რეგრესიული ანალიზი; სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარების მიზნით, ასევე გამოყენებულ იქნა t test და ANOVA ცხრილი.

3.1. შთაბეჭდილებები ექიმის ფიგურაზე

მონაწილეები

ექიმის თემასთან დაკავშირებით, ექსპერიმენტში სულ მონაწილეობა მიიღო 144-მა სტუდენტმა, საიდანაც 95 (66%) არის მდედრობითი, ხოლო 49 (34%) მამრობითი სქესის სტუდენტი. მათი საშუალო ასაკი არის 20 წელი (Min 18 Max 23). უმეტესობა მათგანი არის ფსოქლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი (102 მონაწილე), ასევე არიან ტურიზმისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სტუდენტები (18) *(თუმცა მათ გარდა არიან იურიდიული, პედაგოგიური, ეკონომიკის ბიოლოგიისა და სხვა სპეციალობის სტუდენტები. სულ - 24 მონაწილე)*. გამოკითხული რესპონდენტებიდან 60 (42%) რესპონდენტი ნამყოფია საზღვარგარეთ, ხოლო 84 (58%) არ არის ნამყოფი *(შეგახსენებთ, რომ ეს დემოგრაფიული მახასიათებელია გაზომილ იქნა, არაკავკასიური წარმოშობის მქონე ქვეყანაში ერთჯერ მაინც ყოფნა ერთი ან მეტი კვირის განმავლობაში)*.

შეგახსენებთ, რომ ექსპერიმენტში მოდელირებულ იქნა 5 ექსპერიმენტული პირობა, რომელთაგანაც N1 3 და 5 პირობაში, სათითაოდ მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 30 სტუდენტმა, ხოლო N2 და 4 პირობიდან თითოეულში 25-მა სტუდენტმა.

მოცემული მონაწილეთა ოდენობა, არასაკმარისი აღმოჩნდა გარკვეული სტატისტიკური პროცედურების გამოყენებისთვის, ამის გამო განხორციელდა მონაცემების შეწონვა.

აღქმის წარმმართველი დებულებები:

აღქმის მიმართულების მიმცემი დებულებების შეფასებებიდან, ჩანს რომ ექიმის ფოტოებში ჩადებული ინფორმაცია მართლაც ისე იქნა ინტერპრეტირებული, როგორც ეს გათვლილი იყოს ჩვენ მიერ, კვლევითი მიზნებით. ცხრილში 3 წარმოდგენილია ექიმის მხოლოდ სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოზე გამოსახული ფიგურის შეფასებები ანუ შეფასებები, რომლებიც მიღებულ იქნა N1 და N5 ექსპერიმენტულ პირობაში.

ცხრილი 3. ექიმის აღქმის წარმართველი დებულებების შეფასება (N1 და 5 პირობაში გამოყენებული ფოტოების მიხედვით)

აღქმის წარმართველი დებულებები	ფოტო N1	ფოტო N5
ტიპიური ექიმია	10.30	1.81
უყვარს კომპიუტერული თამაშები	--	10.06
ზის უსუფთაო ოთახში	--	8.53

შენიშვნა: მონაცემები წარმოდგენილია ნედლი საშუალების სახით.

როგორც ჩანს, სტერეოტიპულ ფოტოში ფიგურა მართლაც აღიქმება, როგორც ექიმი ($M=10.30$), ხოლო ინდივიდუალური ფოტოში, მისი ქცევა მართლაც გაგებულა, როგორც კომპიუტერული თამაშის თამაში ($M=10.06$) და უსუფთაო ოთახში ჯდომა ($M=8.53$).

ამოღებული დებულებები:

ექიმის ფიგურის ირგვლივ მიღებული შთაბეჭდილებების ღრმა სტატისტიკურ ანალიზამდე, ხელახლა გადავხედეთ შთაბეჭდილებათა გასაზომ მახასიათებელთა სკალაში შემავალ დებულებებსა და მათ საშუალო შეფასებებს. მიზანი იყო იმ დებულებების ამოღება, რომლებიც არ გამოდგებოდა სტერეოტიპული და ინდივიდუალური შთაბეჭდილების გასამიჯნად, რადგან მათ მსგავსი შეფასებები მიიღეს ექიმის სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოში:

მახასიათებელთა სკალაში შემავალი თითოეული დებულების საშუალო მონაცემების შედარების შედეგად **ამოღებულ იქნა 7 დებულება** - ეს არის ის დებულებები, რომლებიც ექიმის სტერეოტიპულ და ინდივიდუალისტურ ექსპერიმენტულ პირობაში (N1 და 5) იღებს დაახლოებით ერთნაირ შეფასებას. როგორც ჩანს, ეს მახასიათებლები ექიმის სტერეოტიპულ ფიგურას ისევე ახასიათებს, როგორც ახასიათებს ექიმის ინდივიდუალურ ფიგურას. ამოღებული დებულებები და მათი საშუალო შეფასებები იხილეთ ცხრილში 4.

ცხრილი 4. ამოღებული 7 დებულება და მათი საშუალო შეფასებები, N1 და N5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით (ექიმის თემა)

ამოღებული დებულებები	ჯგუფი შეფასება N1 პირობა	საშუალო შეფასება N5 პირობა	ფაობა
მახ5 აქვს პოლიტიკაში საქმიანობის მისწრაფება	3.90	2.94	0.96
მახ7 აქვს იუმორის გრძნობა	6.37	5.78	0.59
მახ10 ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო	5.83	6.44	-0.60
მახ19 ამაყია	6.87	5.88	0.99
მახ25 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია	6.80	6.09	0.71
მახ29 ხელეებს მოქნილად იყენებს	7.87	7.31	0.55
მახ32 ერკვევა ტექნიკურ საგნებში	6.10	6.13	-0.02

აღსანიშნავია, რომ პირველი და მეხუთე ექსპერიმენტული პირობის სტატისტიკურმა შედარებამაც აჩვენა, რომ ჩვენს მიერ ამოღებულ დებულებების საშუალო მონაცემებს შორის სხვაობა არ არის სანდო. ამიტომ მათი ამოღება მართლაც გამართლებულია: მახ5 აქვს პოლიტიკაში საქმიანობის მისწრაფება $F(1) = 2.310$, $p = .134$; მახ7 აქვს იუმორის გრძნობა $F(1) = 1.186$, $p = .280$; მახ10 ცხოვრებაში აქვს ინტერესების ვიწრო სფერო $F(1) = .843$; $p = .362$; მახ19 ამაყია $F(1) = 3.670$, $p = .060$; მახ25 თბილი და მოსიყვარულე ადამიანია $F(1) = 2.67$; $p = .1$; მახ29 ხელეებს მოქნილად იყენებს $F(1) = .783$; $p = .380$; მახ32 ერკვევა ტექნიკურ საგნებში $F(1) = .002$; $p = .966$;

ქროსტაბულაციის ანალიზის შედეგები:

ქროსტაბულაციური ანალიზის გამოყენებით, შევამოწმეთ ის ცვლილება, რომელიც განიცადა ექიმის ტიპიურობის შეფასებამ 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. ექიმის ტიპიურობა არის აღქმის წარმართველი ერთ ერთ დებულება, რომელიც რესპონდენტს 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, თხოვს შეაფასოს ფოტოზე გამოსახული ფიგურის ტიპიურობა ექიმის ზოგად ტიპაჟთან.

ქროსტაბულაციის განხორციელების მიზნით, 11 ბალიანი შეფასება გაიყო ორად: 1-6 ქულა არ არის ტიპური ექიმი და 7-11 ქულა არის ტიპური ექიმი.

ცხრილი 5. ექიმის ფიგურის ტიპურობის შეფასება 5 ექსპერიმენტულ პირობაში

		ექსპერიმენტული პირობები N					ჯულ
		N 1	N 2	N 3	N 4	N 5	
1-6 ქულიანი შეფასება	1 - არ არის ტიპური	3.3%	16.0%	63.3%	28.0%	100%	44.4%
7-11 ქულიანი შეფასება	2 -ტიპურია	96.7%	84.0%	36.7%	72.0%		55.6%

მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში გამოსახული ექიმი არ არის აღქმული მუდამ ტიპურ ექიმად. მიღებული განსხვავებული შეფასებები, რომელსაც ამ პარამეტრის მიხედვით ქონდა ადგილი ხუთ ექსპერიმენტულ პირობაში, აღმოჩნდა სანდო $X^2=303.306$, $df(4)$, $p=.000 < .05$.

თუ კროსტაბულაციის მონაცემებს შევადარებთ ერთმანეთს, ვნახავთ იმ დინამიკას, რომელიც ახასიათებს სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ინფორმაციას, ხუთივე ექსპერიმენტული პირობის მიხედვით:

- **ტიპურობის შეფასება მიყვება რიგში პირველობის ეფექტს** - თუ ვიმსჯელებთ N2 და N4 რიგის პირობებში მიღებული შეფასებების მიხედვით, ვნახავთ, რომ ინდივიდუალური და სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა ექიმის ტიპურობის შეფასებასთან დაკავშირებით მიყვება ინფორმაციის რიგში პირველობის ეფექტს. მაშინ, როცა ინდივიდუალური ინფორმაციაა მიწოდებული პირველ რიგად ექიმი უფრო არატიპურად არის შეფასებული (28%), ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა პირველ რიგად სტერეოტიპული ინფორმაციაა მიწოდებული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ექიმი უფრო სტერეოტიპულად არის აღქმული, რადგან ის ნაკლებ არატიპურად არის აღქმული (16%).
- **ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა ხასიათდება ზრდადი დინამიკით** - ექიმის კომპიუტერული თამაში და სიბინძურეში ჯდომა ნაკლებად გადაწონის ექიმის შესახებ მიღებულ შთაბეჭდილებას (16%), მაშინ როცა ის წარმოდგენილია ექიმის სტერეოტიპული საქმიანობის შემდეგ. თუმცა, მაშინ როცა ექიმისთვის ეს შეუფერებელი ქცევა წარმოდგენილია პირველ რიგად - ექიმის პროფესიისთვის დამახასიათებელ სტერეოტიპულ ინფორმაციამდე, მისი გავლენა იზრდება 28%-მდე. განსაკუთრებით საინტერესოა ამ ინფორმაციების ერთროულად მიწოდების პირობა, სადაც ექიმის ინდივიდუალური ქცევა (კომპიუტერთან თამაში და სიბინძურეში ჯდომა) და სტერეოტიპული ინფორმაცია ერთად არის წარმოდგენილი - აქ ინდივიდუალური ინფორმაცია ერთმნიშვნელოვნად ძლევს სტერეოტიპულს და დომინანტურად განსაზღვრავს მიღებულ შთაბეჭდილებას (63.3%).

- ამის პარალელურად, ექიმის სტერეოტიპული ინფორმაცია ხასიათდება კლებადი დინამიკით. ექიმის სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შემთხვევაში მისი გავლენა არის მაღალი (84%), თუმცა მეორე რიგად მიწოდების დროს გავლენა ოდნავ მცირდება (72%). მართალია, ინდივიდუალური ინფორმაციასთან შედარებით, როგორც არ უნდა მივაწოდით სტერეოტიპული ინფორმაცია, ის მაინც დომინანტურ გავლენას ინარჩუნებს შექმნილ შთბეჭდილებაზე, თუმცა მეორე რიგად მიწოდების დროს, ეს გავლენა მაინც მცირდება (ექიმის ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის გავლენის გაზრდის ხარჯზე).
- რაც შეეხება ექიმის შესახებ ინფორმაციების ერთდროულად მიწოდების პირობას, როგორც ჩანს ექიმის ინდივიდუალური ინფორმაცია გაცილებით უფრო მკვეთრ ზემოქმედებას ახდენს და ამცირებს სტერეოტიპის გავლენას, არა მაშინ როცა ის პირველ რიგად არის მიწოდებული სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ერთად (28%), არამედ მაშინ, როცა ეს ორი ინფორმაცია მიწოდებულია ერთდროულად (63.3%). .
- მთალინობაში, ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში ექიმის სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა არის 56%, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა მოიცავს 44 %-ს. აქედან ჩანს, რომ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა არც ისე მცირეა. ის მნიშვნელოვნად ზღუდავს ექიმის შესახებ აღმქმელის სტერეოტიპულ მსჯელობას.

ფაქტორული ანალიზი:

დებულების ამოღების შემდეგ, დარჩენილი დებულებები გავანალიზეთ ფაქტორული ანალიზის გამოყენებით. ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოიყო 7 ფაქტორი, თუმცა რადგან ამ ფაქტორებიდან 4 იყო მხოლოდ თითო პარამეტრისგან (მახასიათებლისგან) შემდგარი ფაქტორი, მოვახდინეთ ფაქტორების ოდენობის შემცირება.

საბოლოოდ ხელახალი ანალიზის შედეგად გამოიყო 3 ფაქტორი. გამოყოფილი ფაქტორებიდან ერთი ფაქტორი შეესაბამება ექიმის ინდივიდუალურ მახასიათებელს, რადგან მოცემული ფაქტორი აერთიანებს ექიმის მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებულ მახასიათებლებს (ასოციაციებს). დანარჩენი ორი ფაქტორი შეესაბამება ექიმის სტერეოტიპულ მახასიათებელს. ეს ფაქტორებია:

1 - წარმატებული და განათლებული ადამიანია (სტერეოტიპული მახასიათებლის გამომხატველი ფაქტორი)

2 - მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში (ინდივიდუალური მახასიათებლის გამომხატველი ფაქტორი)

3 - ინტელიგენტი ადამიანია (სტერეოტიპული მახასიათებლის გამომხატველი ფაქტორი)

რეგრესიული ანალი:

განხორციელდა წრფივი რეგრესიული ანალიზი, რომლის დახმარებითაც გამოყოფილი სამი ფაქტორის საშუალებით, ვეცადეთ მოგვეხსენებინა გამოსახული ფიგურის ტიპიურობის წინასწარმეტყველება, ექიმის ტიპაჟთან.

მიღებული მინაცემების მიხედვით რეგრესიული მოდელი სანდო აღოჩნდა $F(3, 138) = 49.660$, $p = .000 < .05$, $R = .72$. ფოტოზე გამოსახული ექიმის ტიპიურობა დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: ა) განათლება-წარმატებულობის მახასიათებელზე, რომელთან მიმართებაშიც ტიპიურობის შეფასება უდრის $6.939 + 2.102$ ($B=2.102$), და ბ) პიროვნული მომწიფების - ორგანიზებულობის მახასიათებელზე, სადაც ტიპიურობის შეფასება უდრის $6.939 + 1.794$ ($B=1.794$) (ფაქტორები გაზომილია 11 ბალიან შეფასების სკალაზე). თითოეული ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად ახდენს ექიმის ტიპიურობის წინასწარმეტყველებას: განათლება-წარმატებულობის მახასიათებელი $B=2.102$, $Beta=.55$, $t=9.33$, $p<.000$. და მომწიფების - ორგანიზებულობის მახასიათებელი, $B=1.794$, $Beta = .47$, $t=7.87$, $p<.000$. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, რაც არის ინტელიგენტობა, ის ვერ წინასწარმეტყველებს სანდოდ ექიმის ტიპიურობის შეფასებას: $B=.140$, $Beta = .04$, $t = .62$, $p = .54$. (იხ. ცხირლი 6).

ცხირლი 6. რეგრესიის კოეფიციენტები ექიმის დასახასიათებლად გამოყოფილი თითოეული ფაქტორისთვის

ფაქტორები	B	SE B	β	t	p
განათლებული და წარმატებული ადამიანი	2.102	.225	.551	9.332	.000
მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი	1.794	.228	.465	7.872	.000
ინტელიგენტი ადამიანია	.140	.225	.037	.622	.535

* $p < .05$

შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ტიპიური ექიმია (გაზომილი 11 ბალიან შეფასების სკალაზე, სადაც 1-6 ქულა ნიშნავს არ არის ტიპიური ექიმის, ხოლო 7-11 ტიპიური ექიმია)

SE B - არასტანდარტიზებული ბეტას სტანდარტული შედგომა

სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება:

ფაქტორების გამოყოფისა და რეგრესიული ანალიზის გამოთვლის შემდეგ, მოხდა ექიმის შესახებ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება.

- ექსპერიმენტული პირობების შედარებამდე, თითოეული ფაქტორისთვის გამოითვალა საშუალო ქულა, რომელიც მოცემულმა ფაქტორმა მიიღო ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში, ექიმის შეფასების დროს.
- ფაქტორთა საშუალო მნიშვნელობების გამოთვლის შემდეგ, განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება.

ექსპერიმენტული პირობების შედარება მოხდა შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1 **ხუთი პირობის შედარება** - ერთმანეთს შედარდა ხუთივე ექსპერიმენტული პირობის საშუალო მაჩვენებლები.

თუმცა ასეთი ერთდროული შედარების გარდა, ექსპერიმენტული პირობები ერთმანეთს შედარდა **წყვილში და სამეულში**.

- 2 **N2 და N4 ექსპერიმენტული პირობის შედარება** - კვლევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე განსაკუთრებით საინტერესო არის N2 და N4 პირობის მონაცემების შედარება. ეს სწორედ ის პირობებია, სადაც რიგის ფაქტორის მანიპულირება მოხდა.
- 3 **ძირითადი ექსპერიმენტული პირობების ურთიერთშედარება** - ამ შედარების დახმარებით პირველ რიგში შემოწმდა N3 პირობის მდგომარეობა N2 და 4 პირობასთან შედარებით.
- 4 **სამი ექსპერიმენტულ პირობის შედარება** - ექსპერიმენტული პირობების **სამეულების შედარება** - ასევე საინტერესო აღმოჩნდა N2, N3 და N4 პირობების სათითაო შედარება ორ უკიდურეს პირობასთან - N1 და N5. - ამ შედარებით გადამოწმდა ის, თუ როგორ შემცირდა ან გაიზარდა ინდივიდუალური თუ სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა, ორივე ინფორმაციის წყვილად მიწოდების შედეგად.

ნაშრომის ვრცელ ვერსიაში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემების სრული შედეგები (მიღებული ყველა ზემოხსენებული შედარებების საფუძველზე).

ხუთივე პირობის შედარება

ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში ექიმის შესახებ მიღებული შთაბეჭდილებების შედარებამ, გამოყოფილი სამი ფაქტორის მიხედვით, აჩვენა სანდო სტატისტიკური განსხვავება:

- *წარმატებული და განათლებული ადამიანის* ფაქტორი სანდო განმასხვავებელი აღმოჩნდა ხუთივე პირობაში მიღებული შთაბეჭდილებებისთვის $F(4, 571) = 87.01$, $p = .000 < .05$, $\eta^2_p = .62$. ასევე სანდო აღმოჩნდა ფაქტორი *მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში* $F(4, 571) = 57.48$, $p = .000 < .05$, $\eta^2_p = .54$ და ფაქტორი *ინტელიგენტი ადამიანია* $F(4, 571) = 57.48$, $p = .000 < .05$, $\eta^2_p = .45$. ფაქტორის საშუალო მნიშვნელობები ხსენებული ექსპერიმენტული პირობებისთვის იხილეთ ცხრილში 7.

ცხრილი 7. ექიმის შეფასებები სამი ფაქტორის მიხედვით, ხუთი ექსპერიმენტულ პირობაში

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობა				
	N 1	N 5	N 3	N 2	N 4
<i>წარმატებული და განათლებული ადამიანია</i>	8.14	4.46	6.64	7.44	7.31
<i>მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანია, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში</i>	2.61	6.71	6.16	4.90	5.53
<i>ინტელიგენტი ადამიანია</i>	6.80	4.45	4.21	4.99	4.95

* $p < .05$

ცხრილიდან 7, მართლაც ჩანს, რომ N3 პირობის გარდა, ექიმის შეფასება ისე იცვლება, როგორც ამას ველოდით ჰიპოთეზის თანახმა - სტერეოტიპული მახასიათებლები უფრო მაღალი ქულით არის შეფასებული N1 და 2 პირობაში, სადაც სტერეოტიპული ინფორმაცია მიწოდებულია მარტო ან მიწოდებულია პირველ რიგად (ინდივიდუალური ინფორმაციამდე). *სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ექიმი უფრო წარმატებულ/განათლებულ და ინტელიგენტ ადამიანად არის შეფასებული, მაშინ როცა ექიმის ფიგურის შესახებ მიწოდებულია ჯერ სტერეოტიპული პროფესიული ინფორმაცია (ხოლო შემდეგ ინდივიდუალური) (წარმატებული $M = 7.44$; ინტელიგენტი $M = 4.99$) და მაშინ, როცა მხოლოდ ეს სტერეოტიპული ინფორმაცია არის მიწოდებული (წარმატებული $M = 8.14$;*

ინტელიგენტი $M = 6.80$). ეს სტერეოტიპული მახასიათებლები, დაბალი ქულით არის შეფასებული ინდივიდუაციურ პირობებში - იქ სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ ინდივიდუაციური ინფორმაცია ($M = 4.46$; $M = 6.80$) და იქ სადაც ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულ იქნა პირველ რიგად ($M = 7.31$; $M = 4.95$).

ამის მსგავსად, ინდივიდუაციური მახასიათებელი მაღალი ქულით არის შეფასებული N5 და 4 პირობაში, იქ სადაც ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად (სტერეოტიპულ ინფორმაციამდე) ან მიწოდებულია მარტო - **ექიმი უფრო მოუძწიფებელი და არაორგანიზებული პიროვნება არის შეფასებული მაშინ, როცა ექიმის ფიგურა აღქმულ იქნა ჯერ კოპიუტერთან თამაშისა და ბინძურ გარემოში ჯდომის სიტუაციაში (და მხოლოდ მერე იქნა აღქმული ექიმის სტერეოტიპულ პროფესიულ სიტუაციაში ($M = 6.71$)).** ექიმის ეს მახასიათებელი ასევე მაღალი ქულით არის შეფასებულია მაშინ, როცა მიწოდებულ იქნა მხოლოდ კომპიუტერთან თამაშის და სიბინძურეში ყოფნის ქცევა ($M = 5.53$). ეს ინდივიდუაციური მახასიათებელი ძლიერ დაბალი ქულით არის შეფასებული იმ პირობებში, სადაც ექიმის შესახებ მიწოდებულია მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაცია ($M = 2.16$) ან ეს ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ($M = 4.90$).

ამრიგად ექიმის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა თანმიმდევრულად მცირდება, დაწყებული მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის პირობით და დამთავრებული სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებით. იგივენაირად, ინდივიდუაციური ინფორმაციის გავლენა თანმიმდევრულად იზრდება, როცა მისი წარმოდგენა ხდება ჯერ მეორე რიგად, ხოლო შემდეგ პირველ რიგად ან მარტო.

ხუთივე პირობის შედარება აჩვენებს, რომ ექიმის შეფასებებს შორის არსებული სხვაობა მიუთითებს რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენის არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ N2 და 4 პირობაში მიღებული სხვაობები მცირეა, ისინი სტატისტიკურად სანდოა (N2 და 4 პირობის სტატისტიკური შედარება განცალკევებითაც განხორციელდა, მოგვიანებით). ხუთივე პირობის შედარების მიხედვით, კიდურა პირობებში (N1 და N5) მიღებული შეფასებები, ასევე მეტყველებს ფოტოებისა და მათში ჩადებული შინაარსის ადექვატურობაზე.

რაც შეეხება N3 ექსპერიმენტულ პირობას მას განვიხილავთ ცალკე, მოგვიანებით.

ცხრილი 8. ხუთივე პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) ექიმისთვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)					F	Sig.	Eta
	N1	N2	N3	N4	N5			
განათლებული-წარმატებული	.24	.49	.19	.40	-1.13	87.013	.000	.61
მოუწიფებელი...	.99	.025	-.48	-.20	-.33	57.484	.000	.54
ინტელიგენტი	.77	-.27	-.52	-.19	.11	36.020	.000	.45

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში, ცხრილი N 34 განსხვავებით, მოცემულია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის მეშვეობით

N2 და 4 პირობის შედარება

N2 და 4 პირობებში მიღებული შთაბეჭდილების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ექიმის შეფასებაში გამოყოფილი სამი ფაქტორული მახასიათებლიდან, მხოლოდ ერთი იძლევა სტატისტიკურად სანდო სხვაობას. ეს არის ინდივიდუალური ფაქტორი - *მოუწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი...*. რაც შეეხება სტერეოტიპული შინაარსის ფაქტორებს, მათგან არც ერთი არ აღმოჩნდა საკმარისად მნიშვნელოვანი ამ პირობებში მიღებული შთაბეჭდილებების განსასხვავებლად. ეს ფაქტორებია - *წარმატებული და განათლებული ადამიანი* $t(206) = .78, p = .49 > .05$ და *ინტელიგენტი* $t(206) = -.78, p = .49 > .05$.

როგორც ჩანს, სტერეოტიპული ფაქტორები არ განსაზღვრავენ ექიმის შესახებ ფორმირებულ შთაბეჭდილებას, სხვადასხვა ინფორმაციული რიგის პირობებში. თუმცა, რაც შეეხება ხსენებულ ინდივიდუალური მახასიათებელს „*მოუწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი, რომელსაც ვერ ენდობი საქმეში*“ ის მნიშვნელოვნ როლს თამაშობს ექიმის შთაბეჭდილების ფორმირებაში $t(206) = 2.14, p = .03 < .05$. ექიმი უფრო მოუწიფებლად შეფასდა იმ პირობაში, სადაც ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებულ იქნა პირველ რიგად ($M = 5.53$; სტანდარტული მნიშვნელობით $-.20$), ხოლო იმ პირობაში როცა ეს ინფორმაცია მიწოდებულ იქნა მეორე რიგში (სტერეოტიპის შემდეგ) ექიმის შეფასდა ნაკლებად მოუწიფებელ და არაორგანიზებულ პიროვნებად ($M = 4.90$; სტანდარტული მნიშვნელობით $.02$). (იხ. ცხრილი 9).

ცხრილი 9. ექიმის შეფასებების საშუალო ქულები, სამი მახასიათებლის მიხედვით, ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში (პირობა N2 და 4)

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობები		t	Sig.
	N 2	N 4		
განათლებული-წარმატებული	7.44	7.31	.777	.438
მოუწიფებელი....	4.90	5.53	2.149	.033
ინტელიგენტი	4.99	4.95	-.776	.438

* $p < 0.05$

ამრიგად, ექიმის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში, მახასიათებლების შეფასება სწორედ იმის მიხედვით ხდება თუ რომელი ინფორმაცია არის წარდგენილი პირველად ექიმის შესახებ. ინდივიდუალური ინფორმაციის პირველად წარდგენის შემთხვევაში ინდივიდუალური მახასიათებელი ფასდება იმაზე უფრო მაღალი ქულით, ვიდრე ეს ხდება პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად წარდგენის შემთხვევაში. ეს იმას ნიშნავს, რომ დასტურდება პირველად მიწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებული გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული გავლენა არც ისე დიდია, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

N 2 , 3 და 4 პირობის შედარება

ამ სამი პირობის შედარების მიზანი არის საკონტროლო პირობაში (N3) მიღებული შთაბეჭდილებების შედარება ორ ექსპერიმენტულ პირობაში (N2 და 4 პირობა) მიღებულ შთაბეჭდილებებთან.

როდესაც შევადარეთ ეს შუა სამი პირობა, აღმოჩნდა რომ მათში მიღებულ შთაბეჭდილებებს შორის სხვაობა მნიშვნელოვანია, ექიმის სამივე მახასიათებლის მიხედვით. შეგახსენებთ, რომ ეს არის ის პირობები, საიდანაც ორ მათგანში ინფორმაციის მიწოდება ხდება რიგის ფაქტორის ვარირებით (N 2 და N 4), ხოლო ერთში (N 3) იგივე ინფორმაცია მიეწოდება ყოველგვარი რიგის გარეშე - პარალელურად/ერთნაირად. ამ ინფორმაციულ პირობებში, ექიმის *წარმატებისა და განათლების დონე* $F(2, 325) = 3.37, p = .03 < .05, \eta^2_p = .14$; ასევე *მოუწიფებლობისა და არაორგანიზებულობის მახასიათებელი* $F(2, 325) = 8.58, p = .000 < .05, \eta^2_p = .50$ და *ინტელიგენტობა* $F(2, 325) = 3.90, p = .02 < .05, \eta^2_p = .23$ განსხვავებულად არის შეფასებული. (იხ. ცხრილი 10).

ცხრილი 10. N2, 3 და 4 პირობებში მიღებული ექიმის შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F)

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N2	N3	N4			
განათლებული-წარმატებული	.48	.19	.40	3.37	.04	.14
მოუწიფებელი...	.03	-.48	-.21	8.58	.00	.22
ინტელიგენტი	-.27	-.51	-.17	3.90	.02	.15

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში, ცხრილი 38 განსხვავებით მოცემულია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის მეშვეობით

N3 პირობასთან დაკავშირებით, სადაც ექიმის შესახებ ორივე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ერთდროულად, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით. ჩვენი დაშვებით, N3 ექსპერიმენტულ პირობაში, ექიმის შეფასება სამივე მახასიათებლის მიხედვით, უნდა მომხდარიყო იმ ქულით, რომელიც წარმოადგენს იგივე მახასიათებლის N2 და N4 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შედეგად არც ერთი ტიპის ინფორმაციას არ უნდა ქონოდა დომინანტური გავლენა მიღებულ შთაბეჭდილებაზე (ისე როგორც ეს მოხდა სტერეოტიპულად დომინანტურ N2 ექსპერიმენტულ პირობაში ან ინდივიდუალური დომინანტურ N4 ექსპერიმენტულ პირობაში). ამ პირობაში, რომელიც არის საკონტროლო პირობა, უნდა მიგვეღო ისეთ შეფასება, რომელიც არ უახლოვდება არც N2 და N4 პირობაში მიღებულ შეფასებებს და რომელშიც, ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების გამო, თანაბრად არის გათვალისწინებული ექიმის, როგორც პროფესიული სტერეოტიპი, ასევე მისი ინდივიდუალური ქცევა. მოცემული ჰიპოთეზა არ დადასტურდა.

N3 პირობაში მიღებული შთაბეჭდილების დაახლოება (დამსგავსება) რიგის (N2 და N4) ინფორმაციულ პირობებში მიღებულ შთაბეჭდილებებთან, გამოთვლილ იქნა მიღებულ შეფასებებს შორის არსებული სხვაობით, სამი მახასიათებლის მიხედვით.

შეფასებების გასაშუალოების ნაცვლად:

- ექიმი შეფასდა კიდევ უფრო ნაკლებ წარმატებულ და განათლებულ ადამიანად ($M = 6.64$; სტანდარტული მნიშვნელობა .19), ნაკლებ ინტელიგენტად ($M = 4.21$; სტანდარტული მნიშვნელობა -.51) და მეტად მოუწესრიგებელ - არაორგანიზებულ ადამიანად ($M = 6.16$; სტანდარტული მნიშვნელობა -.48), ვიდრე ეს მოხდა N2 ($M = 7.44$; 4.99; 4.90; სტანდარტული მნიშვნელობა -.48, -.26, .02) და

N4 ($M=7.31$; 4.95; 5.53; სტანდარტული მნიშვნელობა.40, -.16. -.20) პირობებში (იხ. ცხრილი 44). სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში მიღებული შეფასებები სამივე მახასიათებლის მიხედვით უფრო მეტად დაუახლოვდა ინდივიდუალური პირობაში მიღებულ შეფასებებს (N4) ანუ იმ პირობის შეფასებებს, სადაც ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებული იქნა პირველ რიგად (იხ. ცხრილი 11).

ცხრილი 11. N2 3 და 4 პირობის საშუალო მნიშვნელობები და მათ შორის სხვაობები, ექიმის სამივე მახასიათებლის მიხედვით.

ფაქტორები	საშუალო შეფასებები			სხვაობა N3 და N2 პირობას შორის	სხვაობა N3 და მ N4 პირობას შორის	N3 პირობაში მოსალოდნელი საშუალო შეფასებები (N2 და 4 პირობაზე დაყრდნობით)
	N 2	N 3	N 4			
	განათლებული-წარმატებული	7.44	6.64	7.31	-0.80	-0.66
მოუწიფებელი...	4.90	6.16	5.53	1.25	0.62	5.22
ინტელიგენტი	4.99	4.21	4.95	-0.77	-0.74	4.97

შენიშვნა: ცხრილში ასევე მოცემულია N3 პირობაში ჰიპოთეზით მოსალოდნელი საშუალო სიხშირეები და ასევე, ის სხვაობები, რომელიც საფუძველზეც ჩანს, თუ რომელი პირობის შეფასებას დაუახლოვდა N3 პირობაში მიღებული შეფასებები (სამივე მახასიათებლის მიხედვით). საშუალოები წარმოდგენილი ნედლი, და არა სტანდარტიზირებული ქულების სახით.

აღსანიშნავია, რომ ექიმის შეფასებაში, რომელიც მიღებულია სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შედეგად, იკვეთება ერთი საინტერესო ტენდენცია - ექიმის შეფასება, სამივე მახასიათებლის მიხედვით, გახდა პოლარიზებული N2 და 4 პირობების შეფასებასთან შედარებით.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში ექიმი უფრო მეტად შეფასდა მისი ქცევის - *კომპიუტერული თამაშის თამაში და სიბინძურეში ჯდომა* - ჭრილში, ვიდრე ეს მოხდა იგივე ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების შემთხვევებში. ამრიგად N3 პირობაში შეფასებები არათუ გასაშუალოვდა, არამედ გახდა უფრო პოლარიზებული ინდივიდუალური შეფასების მიმართულებით (იხ. ცხრილი 12)

ცხრილი 12. N3 პირობაში მიღებული უკიდურესი შეფასებები (ექიმის თემა)

ფაქტორები	N2	N3	N4	
განათლებული-წარმატებული	7.44	6.64	7.31	შემცირდა (დაუახლოვდა N4 შეფასებას)
მოუწიფებელი..	4.90	6.16	5.53	გაიზარდა (დაუახლოვდა N4 შეფასებას)
ინტელიგენტი	4.99	4.21	4.95	შემცირდა (დაუახლოვდა N4 შეფასებას)

ექიმის შესახებ მიღებული შედეგების მოკლე შეჯამება

ამგვარად, სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში ექიმზე მიღებული შთაბეჭდილებიდან ჩანს, რომ:

- ექიმის შესახებ სხვადასხვა რიგით მიწოდებული ერთ და იგივე ინფორმაცია ვლინდება განსხვავებულ შთაბეჭდილებებში. კერძოდ კი, მტკიცდება რიგში პირველობის ეფექტი. იმის მიხედვით, თუ რომელი ინფორმაცია იქნა მიწოდებულ პირველ რიგად, მივიღეთ ექიმის განსხვავებული შეფასებები: სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების შედეგად, ექიმი შეფასებულ იქნა როგორც ნაკლებად მოუწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი ($M=4.90$). თუმცა კომპიუტერთან თამაშისა და მოუწესრიგებელი ოთახში ჯდომის ქცევის პირველ რიგად აღქმამ (ინდივიდუაციური ინფორმაცია), ექიმი უფრო მოუწიფებელი და არაორგანიზებული გახადა ($M=5.53$).
- რიგის ეფექტისგან განსხვავებით, არ დადასტურდა ჩვენი მოლოდინი ექიმის შესახებ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში. ექიმზე სტერეოტიპული და ინდივიდუაციური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, არ მომხდარა შთაბეჭდილების გასაშუალოება. ამ შემთხვევაშიც, N4 პირობის მსგავსად, ექიმის შეფასება მოხდა ინდივიდუაციური ქცევითი ინფორმაციის გავლენით. თუმცა, მოცემულ პირობაში, ექიმის ასეთ შეფასება, იმაზე მეტად უკიდურესი და პოლაზირებული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოხდა თავად ინდივიდუაციურ პირობაში, მაშინ როცა ინდივიდუაციური ინფორმაცია მიწოდებულ იქნა პირველ რიგად (N4).

3.2. შთაბეჭდილებები IT-ის ფიგურაზე

IT - ის ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში მონაწილეობა მიიღო სულ 143-მა სტუდენტმა, საიდანაც 94 (66 %) არის მდედრობითი, ხოლო 49 (34 %) მამრობითი სქესის მონაწილე. მათი საშუალო ასაკი არის 20 წელი (Min 18 Max 23). სტუდენტები უმრავლესობა არის კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა (99 მონაწილე) და ტურიზმისა და მენეჯმენტის (20) ფაკულტეტის წარმომადგენელი, (თუმცა მათ გარდა არიან იურიდიული, პედაგოგიური, ეკონომიკის ბიოლოგიისა და სხვა სპეციალობის სტუდენტები. სულ - 24 მონაწილე). გამოკითხული რესპონდენტებიდან 57 (40%) არის ნამყოფი საზღვრაგარეთ, ხოლო 84 (59%) არ არის ნამყოფი.

შეგახსენებთ, რომ ამ შემთხვევაშიც მოდელირებულ იქნა 5 ექსპერიმენტული პირობა, რომელთაგანაც N1 3 და 5 პირობაში, სათითაოდ მონაწილეობა მიიღო საშუალოდ 30 სტუდენტმა, ხოლო N2 და 4 პირობიდან თითოეულში 25-მა სტუდენტმა.

მოცემული მონაწილეთა ოდენობა, არასაკმარისი აღმოჩნდა გარკვეული სტატისტიკური პროცედურების გამოყენების მიზნით, ამიტომ მოხდა მონაცემების შეწონვა .

აღქმის წარმმართველი დებულები:

აღქმის მიმართულების მიმცემი დებულებების შეფასებებიდან, ჩანს რომ IT-ის ფოტოებში ჩადებული ინფორმაცია მართლაც ისე იქნა ინტერპრეტირებული, როგორც ეს გათვლილი იყოს ჩვენ მიერ, კვლევითი მიზნებით. ცხრილში 13 წარმოდგენილია IT-ის მხოლოდ სტერეოტიპულ და ინდივიდუალურ ფოტოზე გამოსახული ფიგურის შეფასებები ანუ შეფასებები, რომლებიც მიღებულ იქნა N1 და N5 ექსპერიმენტულ პირობაში.

ცხრილი 13. ექიმი IT-ის აღქმის წარმმართველი დებულებების შეფასება (N1 და 5 პირობაში გამოყენებული ფოტოების მიხედვით)

აღქმის წარმმართველი დებულებები	ფოტო N1	ფოტო N5
ტიპიური კომპიუტერების სპეციალისტია	9.59	3.07
ზის მოუწესრიგებელ ოთახში	5.97	--
უყვარს ოპერა/ბალეტი	--	9.97
უყვარს ოთახის ყვავილები	--	6.87

შენიშვნა: მონაცემები წარმოდგენილია ნედლი საშუალების სახით.

როგორც ჩანს, სტერეოტიპულ ფოტოში ფიგურა მართლაც აღიქმება, როგორც IT ($M=10.30$), თუმცა მისი ოთახი არ არის შეფასებული, როგორც მოუწესრიგებელი ($M=5.97$). რაც შეეხება ინდივიდუაციურ ფოტოს, მისი ქცევა მართლაც გაგებულა, როგორც ოპერა ბალეტით გატაცება ($M=9.97$) და ოთახის ყვავილების სიყვარული ($M=6.87$).

ამოღებული დებულებები:

IT-ის შემთხვევაშიც, ფიგურაზე მიღებული შთაბეჭდილებების ღრმა სტატისტიკურ ანალიზამდე, ხელახლა გადავხედეთ შთაბეჭდილებათა გასაზომ მახასიათებელთა სკალაში შემავალ დებულებებსა და მათ საშუალო შეფასებებს. მიზანი იყო იმ დებულებების ამოღება, რომლებიც არ გამოდგება სტერეოტიპული და ინდივიდუაციური შთაბეჭდილების გასამიჯნად. იმ ასოციაციურმა მახასიათებლებმა, რომლების მოცემულია ასეთ დებულებებში, მსგავსი შეფასება მიიღეს IT-ის სტერეოტიპულ და ინდივიდუაციურ ფოტოში:

შთაბეჭდილებათა გასაზომი მახასიათებელთა სკალის პილოტაჟის შედეგად, რომელიც ჩატარდა კვლევის VI ეტაპზე, სკალიდან დებულებების ამოღებისას ვიხელმძღვანელებთ დებულებებს შორის 0.7 ქულიანი სხვაობით. ამ ეტაპზე კი, სკალიდან დებულებების ამოღებისას ვიხელმძღვანელებთ 1 ქულიანი (და უფრო მცირე) სხვაობით.

ერთმანეთს შევადარეთ N1 და 5 ექსპერიმენტული პირობის ყველა დებულების საშუალო შეფასება. შედეგად, გამოვლინდა სტატისტიკურად არასანდო სხვაობის მქონე დებულებები.

მართლაც, N 1 და 5 პირობის დებულებების შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი სტერეოტიპული დებულებ - *მახ5. არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს*- არ აჩვენებნ სტატისტიკურად სანდო სხვაობას $F(1) = .92$, $p = .33 > .05$. მოხდა მოცემული დებულების ამოღება IT-ის შთაბეჭდილების გასაზომი სკალიდან (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14. ამოღებული ერთი დებულება და მისი საშუალო შეფასება, სხვაობასთან ერთად (IT-ის თემა)

ამოღებული დებულებები	საშუალო შეფასება N1 პირობა	საშუალო შეფასება N2 პირობა	სხვაობა
მახ5. არ უყვარს როცა მასზე ვინმე უფროსობს	6.44	6.13	0.30

სხვა დებულებებიდან, რომლებმაც აჩვენეს 1 ქულაზე მცირე სხვაობა N1 და 5 პირობის შეფასებებში, არ იქნა ამოღებული მახასიათებელთა სკალიდან. 1 ქულაზე მცირე სხვაობის მიუხედავად, მათ შორის არსებული სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

ქროსტაბულაციის ანალიზის შედეგები:

ქროსტაბულაციის პროცედურის გამოყენებით, შევამოწმეთ ის ცვლილება, რომელიც განიცადა IT-ის ტიპიურობის შეფასებამ 5 ექსპერიმენტული პირობის მიხედვით. IT-ის ტიპიურობა არის დებულება, რომელიც რესპონდენტს, 11 ბალიანი შეფასების სკალის გამოყენებით, თხოვს შეაფასოს აღქმულ ფოტოზე გამოსახული ტიპაჟის ტიპიურობა IT-ის ზოგად ტიპაჟთან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული დებულება შეფასდა 11 ბალიან შეფასების სკალაზე, ქროსტაბულაციის განხორციელების მიზნით, მისი მნიშვნელობები დაჯგუფდა ორ მსხვილ კატეგორიაში - არ არის ტიპიური IT (მოიცავს სკალურ შეფასებებს 1დან 6-ის ჩათვლით) და ტიპიური IT (მოიცავს სკალურ შეფასებებს 7და 11-ის ჩათვლით). იხ ცხრილი 15.

ცხრილი 15. IT-ის ფიგურის ტიპიურობის შეფასება 5 ექსპერიმენტულ პირობაში

		ექსპერიმენტული პირობა					სულ
		N 1	N 2	N 3	N 4	N 5	
1- 6 ქულა	1 - არ არის ტიპიური	12.5%	12.0%	23.3%	11.5%	100.0%	32.9%
7-11ქულა	2 - ტიპიურია	87.5%	88.0%	76.7%	88.5%		67.1%

წარმოდგენილი მონაცემები არის სტატისტიკურად სანდო $X^2=315.290$, $df(4)$, $p=.000<.05$. ამ მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში გამოსახული IT-ი უმეტესად აღქმულია როგორც ტიპირუი IT-ი. ანუ ინფორმაციის სხვადასხვანაირად მიწოდების მიუხედავად IT მაინც სტეოტიპულად არის აღქმული. ინდივიდუალური ინფორმაციის დამატებით, ტიპიურობის შეფასება არსებითად არ იცვლება.

თუ ქროსტაბულაციის მონაცემებს შევადარებთ ერთმანეთს, ვნახავთ რომ:

- სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა მაღალია ყველა ინფორმაციულ პირობაში - ორ ექსპერიმენტულ პირობაში, იქ სადაც IT-ის შესახებ ინფორმაცია მიწოდებულია სხვადასხვა რიგით, IT ტიპიურად არის შეფასებული შემთხვევათა 88 %. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა ინფორმაცია არა რიგით, არამედ ერთროულად მიეწოდება, IT ტიპიურობის შეფასება მცირდება 77%-მდე.

- ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა იზრდება მხოლოდ ინფორმაციათა ერთდროულად მიწოდების პირობაში - სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში IT-ი შემთხვევათა მხოლოდ 11 -12 % არის შეფასებული არატიპურად, თუმცა ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობებში მისი ატიპიურობა მნიშვნელოვნად იზრდება - 23 %.
- ამრიგად, ექიმის შემთხვევისგან განსხვავებით, IT-ის შემთხვევაში ჩანს, რომ არ დასტურდება რიგში პირველობის გავლენა IT-ის ტიპიურობის შეფასებაზე. როგორი რიგითაც არ უდნა იქნეს მიწოდებული ინფორმაცია IT-ის შესახებ, ის მაინც სტერეოტიპულად არის შეფასებული (იხ. ცხრილი 16). ცხრილიდან ჩანს, რომ IT - ის სტერეოტიპულ ინფორმაციასთან ერთად ინდივიდუალური ინფორმაციის მიწოდება თითქმის არ ცვლის სურათს, ტიპიურობის შეფასებაში, რომელიც მიღებულ იქნა რიგის პირობებში N2 და N4.

ცხრილი 16. IT-ის ტიპიურობის შეფასება ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში

	N2	N4
1 - არ არის ტიპიური	12.0%	11.5%
2 -ტიპიურია	88.0%	88.5%

მთლიანობაში, ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა დაფიქსირდა შეფასებათა 67% შემთხვევაში, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენა 33 % შემთხვევაში. ჩანს, რომ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით განხორციელებული IT-ის ტიპიურობის შეფასება ჩამოუვარდება IT -ის სტერეოტიპის გავლენას ამავე შეფასებაში, თუმცა ის მაინც არ არის მცირე (იხ. ცხრილი 17).

ცხრილი 17. IT-ის ტიპიურობის შეფასება, მთლიანობაში 5 პირობის გათვალისწინებით

1 - არ არის ტიპიური	32.9 %
2 -ტიპიურია	67.1%

ფაქტორული ანალიზი:

შთაბეჭდილების გასაზომი მახასიათებელთა სკალიდან დებულების ამოღების შემდეგ, მოვახდინეთ დანარჩენი დებულებების ფაქტორული ანალიზი. ფაქტორული ანალიზით გამოიყო 4 ფაქტორი, თუმცა რადგან ამ ფაქტორებიდან ერთი იყო მხოლოდ ერთ დებულებიდან შემდგარი ფაქტორი, მოვახდინეთ ფაქტორების ოდენობის შემცირება. ხელახალი ანალიზის შედეგად, გამოიყო 3 ფაქტორი, საიდანაც ორი არის ინდივიდუალური ფაქტორი, რადგან აერთიანებს მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს (მახასიათებლებს/დებულებებს), ხოლო ერთი არის სტერეოტიპული ფაქტორი, რადგან აერთიანებს მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციებს. ეს ფაქტორებია:

- 1 - პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც ბოლომდე ჩაფლული თავის საქმეში და ორიენტირებულია განვითარებაზე (სტერეოტიპული მახასიათებელი);
- 2 - თბილი, ინტელიგენტი ადამიანია (ინდივიდუალური მახასიათებელი);
- 3 - ჯენტლმენია (ინდივიდუალური მახასიათებელი);

რეგრესიული ანალიზი:

განხორციელდა წრფივი რეგრესიული ანალიზი, რომლის დახმარებითაც გამოყოფილი სამი ფაქტორის საშუალებით, ვეცადეთ მოგვეხდინა გამოსახული ფიგურის ტიპიურობის წინასწარმეტყველება, IT-ის ტიპაჟთან. მიღებული მინაცემების მიხედვით რეგრესიული მაჩვენებელი სანდო აღოჩნდა $F(3,200) = 4.82, p < .003 < .05, R = .16$.

ფოტოზე გამოსახული IT-ის ტიპიურობის წინასწარმეტყველება დამოკიდებულია ორ ფაქტორზე. ესენია: ა) პროფესიონალია - ამ მახასიათებლის მიხედვით, IT-ის ტიპიურობის შეფასება უდრის $3.227 + .490$ ($B = .490$) და ბ) ჯენტლმენია, სადაც ტიპიურობის შეფასება უდრის $3.227 + .509$ ($B = .509$) (შეგახსენებთ, ფაქტორები გაზომილია 11 ბალიან შეფასების სკალაზე). თითოეული ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად ახდენს IT-ის ტიპიურობის წინასწარმეტყველებას: პროფესიონალიზმის მახასიათებელი $B = .490, Beta = .110, t = 2.63, p < .009$ და ჯენტლმენობა $B = .509, Beta = .114, t = .73, p < .007$. რაც შეეხება მესამე ფაქტორს - თბილი, ინტელიგენტი ადამიანია - იგი ვერ ახდენს ტიპიურობის სანდო წინასწარმეტყველებას: $B = .054, Beta = .01, t = .29, p = .77 > .05$. (იხ ცხრილი 18)

ცხრილი 18. რეგრესიის კოეფიციენტები თითოეული ფაქტორისთვის (IT-ის თემა)

ფაქტორები	<i>B</i>	<i>SE B</i>	β	<i>t</i>	<i>p</i>
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტია, რომელიც ჩაფლულია საქმეში და ორიენტირებულია მომავალზე	.490	.187	.110	2.630	.009
თბილი, ინტელიგენტი ადამიანია	.054	.187	.012	.292	.770
ჯენტლმენია	.509	.187	.114	2.729	.007

* $p < .05$

შენიშვნა: დამოკიდებული ცვლადი: ტიპური IT-ია (გაზომილი 11 ბალიან შეფასების სკალაზე, სადაც 1-6 ქულა ნიშნავს არ არის ტიპური ექიმის, ხოლო 7-11 ტიპური ექიმია)

SE B - არასტანდარტიზებული ბეტას სტანდარტული შედგომა

სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული

შთაბეჭდილებების შედარება:

IT-ის შემთხვევაშიც განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების რამდენიმენაირი შედარება.

- ექსპერიმენტული პირობების შედარებამდე, თითოეული ფაქტორისთვის გამოითვალა საშუალო ქულა, რომელიც მოცემულმა ფაქტორმა მიიღო ხუთივე ექსპერიმენტულ პირობაში, IT-ის შეფასების დროს.
- ფაქტორთა საშუალო მნიშვნელობების გამოთვლის შემდეგ, განხორციელდა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შთაბეჭდილებების შედარება.

ექსპერიმენტული პირობების შედარება მოხდა შემდეგი თანმიმდევრობით:

ერთმანეთს შედარდა ხუთი ექსპერიმენტული პირობა, თუმცა რადგან ჩვენი კვლევის მთავარ ინტერესს სხვადასხვა რიგის - N2 და 4 - პირობაში მიღებული შთაბეჭდილებები წარმოადგენს, ამ ორი პირობის შედარება ცალკეც განხორციელდა. დამატებით, მოვახდინეთ ექსპერიმენტული პირობების სამეულების შედარებაც. IT-ის შემთხვევაშიც სამეულების შედარებები განხორციელდა შემდეგნაირად:

- ძირითადი ექსპერიმენტული პირობების ურთიერთშედარება - ამ შედარების დახმარებით პირველ რიგში შემოწმდა N3 პირობის მდგომარეობა N2 და 4 პირობასთან შედარებით.
- სამი ექსპერიმენტული პირობის შედარება - პირობების სამეულების შედარება - ასევე საინტერესო აღმოჩნდა N2, N3 და N4 პირობების სათითაო შედარება ორ უკიდურეს პირობასთან - N1 და N5. - ამ შედარებით გადამოწმდა ის, თუ როგორ შემცირდა ან

გაიზარდა ინდივიდუაციური თუ სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა, ორივე ინფორმაციის წყვილად მიწოდების შედეგად. უკიდურეს პირობებში ინფორმაცია ცალკე მიწოდა - ცალკე სტერეოტიპული ინფორმაცია (N1) და ცალკე ინდივიდუაციური ინფორმაცია (N5).

ხუთივე პირობის შედარება

ხუთივე პირობის ერთდროულმა შედარებამ აჩვენა, რომ სამივე ფაქტორის სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. უფრო კონკრეტულად კი:

- ფაქტორი *პროფესიონალია* სანდო განმასხვავებელი აღმოჩნდა ხუთივე პირობაში მიღებული შთაბეჭდილებისთვის $F(4, 559) = 63.840, p < .000 < .05$, $\eta^2_p = .31$. ასევე სანდო აღმოჩნდა *ფაქტორი თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* $F(4, 559) = 53.670, p < .000 < .05$, $\eta^2_p = .28$ და ფაქტორი *ჯენტლმენია* $F(4, 559) = 7.718, p < .000 < .05$, $\eta^2_p = .05$. ფაქტორის საშუალო მნიშვნელობები ხსენებული ექსპერიმენტული პირობებისთვის იხილეთ ცხრილში.

ცხრილი 19. IT-ის შეფასებები სამი ფაქტორის მიხედვით, ხუთ ექსპერიმენტულ პირობაში

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობა				
	N 1	N 5	N 3	N 2	N 4
<i>პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც ბოლომდე ჩაფლულია საქმეში და განვითარებაზეა ორიენტირებული</i>	8.23	5.46	8.02	7.81	7.26
<i>თბილი, ინტელიგენტი ადამიანია</i>	8.47	6.87	7.42	7.24	7.24
<i>ჯენტლმენია</i>	5.53	6.67	6.23	6.20	6.81

* $p < .05$

თუკი არ ჩავთლით N3 ექსპერიმენტულ პირობას, ვნახავთ რომ IT-ის შემთხვევაშიც შეფასებები ძირითადად მოლოდინის შესაბამისად წარიმართა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების გამო შთაბეჭდილების ცვლილებასთან დაკავშირებული მოლოდინი, მაინც არ გამართლდა მთლიანად (რასაც არ ქონდა ადგილი ექიმზე მიღებული შთაბეჭდილებების შემთხვევაში). IT-ის სამი ფაქტორული მახასიათებლიდან, ერთი მახასიათებლის შეფასება ავლენს, არათუ უბრალოდ

განსხვავებულ, არამედ საწინააღდეგო დინამიკასაც კი (იხ. ცხრილი 19). ფაქტორების შეფასება შემდეგნაირად წარიმართა:

N1 და 5 პირობებში, სადაც IT-ის შესახებ მიწოდებული მხოლოდ სტერეოტიპული (N1) და მხოლოდ ინდივიდუალური ინფორმაცია (N2), ორმა ფაქტორმა სწორედ ისეთი შეფასება მიიღო, როგორც ამას ველოდით მიწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე. N1 პირობაში, IT-ზე მხოლოდ სტერეოტიპული ინფორმაციის მიწოდების შედეგად, სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებელი - *პროფესიონალია ...* - შეფასდა მაღალი დადებითი ქულით ($M=8.23$), ხოლო ინდივიდუალური მახასიათებელი - *ჯენტლმენია* - შეფასდა დაბალი ქულით ($M= 5.53$). ამის საწინააღდეგო, პირობაში სადაც მიწოდებულ იქნა მხოლოდ ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია (ოპერის სმენა და ქოთნის ყვავილების ქონა) (N5) იგივე მახასიათებლები შეფასდა შებრუნებული ტენდენციით - *პროფესიონალია ...* ($M=5.46$) და *ჯენტლმენია* ($M= 6.67$).

აღსანიშნავია IT-ისთვის გამოყოფილი მესამე ფაქტორული მახასიათებელი - *თბილი, ინტელიგენტი ადამიანია* - რომელიც ხსენებულ ორ პირობაში (N1 და 5) იღებს მოულოდნელ შეფასებებს. შეგახსენეთ, რომ მოცემული მახასიათებელი წარმოადგენს IT-ის ინდივიდუალისტური ქცევითი ინფორმაციით გააქტიურებულ ასოციაციას, შესაბამისად ინდივიდუალურ პირობაში (N5) მას უნდა მიეღო მაღალი სკალური შეფასება. თუმცა ეს ასე არ მოხდა - ცხრილიდან 51 ჩანს, რომ მოცემული მახასიათებელი გაცილებით მაღალი დადებით ქულით შეფასდა სტერეოტიპულ (N1) ($M=8.47$) და არა ინდივიდუალურ პირობაში (N5) ($M=6.87$). შეგახსენებთ, რომ ხუთივე პირობის შედარებამ აჩვენა, რომ მონაცემები სტატისტიკურად სანდოა.

თუ გავაგრძელებთ ანალიზს, ვნახავთ, რომ IT-ისთვის გამოყოფილი სამი ფაქტორიდან ორი მახასიათებელი: სტერეოტიპული მახასიათებელი - *პროფესიონალია....* - და ერთ-ერთი ინდივიდუალური მახასიათებელი - *ჯენტლმენია* - სწორედ ისე ფასდება, როგორც ამას მოველოდით ჰიპოთეზის მიხედვით. კერძოდ კი:

- IT-ის სტერეოტიპული მახასიათებელი - *პროფესიონალია...* - ფასდება მაღალი ქულით იმ პირობებში, როცა IT-ზე მიწოდებულია მხოლოდ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია ($M =8.23$) ან როცა, ეს ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ($M =7.81$). მეორე მხრივ, IT -ს შეფასება იგივე მახასიათებლის მიხედვით სულ უფრო მცირდება იმ ინფორმაციულ პირობებში, როცა იგივე სტერეოტიპული ინფორმაცია მიწოდებულია მეორე რიგად (ინდივიდუალური ინფორმაციის შემდეგ) ($M =7.21$) ან როცა ის საეროდ არ არის წარდგენილი ($M =5.46$).

- ამის მსგავსად იცვლება IT-ის დახასიათება ერთერთი ინდივიდუალური მახასიათებლის მიხედვითაც - *ჯენტლმენია*. IT შეფასებულია, როგორც უფრო ჯენტლმენი იმ პირობებში, როცა მიწოდებულია მოლოდინდივიდუალური ინფორმაცია ($M = 6.67$) ან როცა ეს ინფორმაცია მიწოდებულია პირველ რიგად ($M = 6.81$). იგივე IT წარმოდგენილია, ნაკლებად ჯენტლმენად იმ ინფორმაციულ პირობებში, როცა IT-ის შესახებ ინდივიდუალური ინფორმაცია მიწოდებულია მეორე რიგად (სტერეოტიპული ინფორმაციის შემდეგ) ($M = 6.20$) და მაშინ, როცა ეს ინფორმაცია საერთოდ არ არის მიწოდებულია ($M = 5.53$).

ჩვენი ჰიპოთეზა არ გამართლდა მესამე ფაქტორულ მახასიათებელთან დაკავშირებით - *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* - როგორც უკვე ვთქვით, ეს არის ინდივიდუალური შინაარსის მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც IT-ის ფიგურის დახასიათება არ ავლენს რიგის გავლენას შთაბეჭდილებაზე. სტერეოტიპულ პირობაში IT დახასიათებულ იქნა უფრო *თბილ და ინტელიგენტ ადამიანად* ($M = 8.47$), ვიდრე ინდივიდუალურ პირობაში ($M = 6.87$), ხოლო ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში ის იდენტურად იქნა შეფასებული ($N2 - M = 7.24$; $N4 - M = 7.24$).

ამრიგად IT ის შესახებ შთაბეჭდილების ფორმირების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციის გავლენა თანმიმდებრულად მცირდება, მოცემულ ექსპერიმენტულ პირობებში (თუ არ ჩავთვლით ერთდორული მიწოდების $N3$ პირობას). ნაწილობრივ იგივე ეხება ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენასაც.

ცხრილი 20. ხუთივე პირობებში მიღებული შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F) IT-თვის

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)					F	Sig.	Eta
	N1	N2	N3	N4	N5			
<i>პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,</i>	.46	.33	.36	-.09	-1.01	63.84	.000	.56
<i>თბილი, ინტელიგენტი ადამიანია</i>	-.77	.15	-.05	-.06	.79	53.67	.000	.53
<i>ჯენტლმენია</i>	-.32	-.08	-.06	.33	.18	7.72	.000	.23

* $p < .05$

შენიშვნა: მოცემულ ცხრილში, ცხრილი 51-სგან განსხვავებით მოცემულია არა ნედილი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის საშუალებით.

N2 და 4 პირობის შედარება

IT-ის შესახებ N2 და 4 პირობში მიღებული შთაბეჭდილებების შედარებამ აჩვენა, რომ IT-ის დასახასიათებლად გამოყოფილი სამი ფაქტორიდან ორი ფაქტორი იძლევა სტატისტიკურად სანდო განსხვავებას. IT-ის შესახებ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება მნიშვნელოვნად ეყრდნობა იმას თუ რამდენად *ჯენტლმენია* IT-ის ფიგურა $t(197.535) = 3.88$, $p < .000 < .05$ და ასევე, რადენად *პროფესიონალია...* იგი $t(202) = -4.050$, $p < .000 < .05$. რაც შეეხება მესამე მახასიათებელს - *თბილი და ინტელიგენტი ადამიანია* - მას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდების პირობებში IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე $t(202) = 1.74$, $p = .083 > .05$. (შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის ინდივიდუალური შინაარსის ფაქტორია, რომელმაც მაღალი შეფასება არა ინდივიდუალურ, არამედ სტერეოტიპულ პირობაში მიიღო). ამგვარად, IT-ის შესახებ შთაბეჭდილება ეყრდნობა ერთ სტერეოტიპულ და ერთ ინდივიდუალურ მახასიათებელს.

ამ მახასიათებლების მიხედვით, IT-ის ფიგურა, იმ პირობაში სადაც ჯერ მიწოდებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია და შემდეგ ინდივიდუალური, შეფასებულ იქნა, როგორც უფრო პროფესიონალი ($M = 7.81$; სტანდარტული მნიშვნელობა .33) და ნაკლებად ჯენტლმენი ($M = 6.20$; სტანდარტული მნიშვნელობა -.08), ვიდრე იმ პირობაში სადაც ჯერ მიწოდებულ იქნა კლასიკური მუსიკით გატაცების ქცევითი ინფორმაცია და შემდეგ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია (სტერეოტიპული ინფორმაცია $M = 7.26$; სტანდარტული მნიშვნელობა -.09; ინდივიდუალური ინფორმაცია $M = 6.81$, სტანდარტული მნიშვნელობა .18) (იხ. ცხრილი 21).

ცხრილი 21. IT-ის შეფასებების საშუალო ქულები, სამი მახასიათებლის მიხედვით, ინფორმაციის სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში (პირობა N2 და 4)

ფაქტორები	საშუალო მნიშვნელობები			
	N 2	N 4	t	Sig.
<i>პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,</i>	7.81	7.26	3.869	.000
<i>თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;</i>	7.24	7.24	1.730	.08
<i>ჯენტლმენი</i>	6.20	6.81	-4.099	.000

* $p < 0.05$

ამრიგად, IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში, მახასიათებლების შეფასება სწორედ იმის მიხედვით ხდება თუ რომელი ინფორმაცია არის წარდგენილი პირველად მის შესახებ. ინდივიდუაციური ინფორმაციის პირველად წარდგენის შემთხვევაში ინდივიდუაციური მახასიათებელი ფასდება იმაზე უფრო მაღალი ქულით, ხოლო სტერეოტიპული მახასიათებელი ფასდება იმაზე დაბალი ქულით, ვიდრე ეს ხდება პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად წარდგენის შემთხვევაში, სადაც ვიღებთ საპირისპირო შეფასებებს - სტერეოტიპული შინაარსის მახასიათებელი ფასდება მაღალი ქულით, ხოლო ინდივიდუაციური დაბალი ქულით.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასტურდება პირველად მიწოდებული ინფორმაციის განსაკუთრებული გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული გავლენა არც ისე დიდია, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია .

N 2 , 3 და 4 პირობის შედარება

ამ სამი პირობის შედარების მიზანი არის საკონტროლო პირობაში (N3) მიღებული შთაბეჭდილებების შედარება ორ ექსპერიმენტულ პირობაში (N2 და 4 პირობა) მიღებულ შთაბეჭდილებებთან.

სამი შუალედური პირობის შედარებით გამოვლინდა კვლავ იგივე ორი ფაქტორი, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს IT-ის შეფასებაზე სამივე ინფორმაციულ პირობაში (N2,3,4): *პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი, რომელიც ბოლომდე ჩაფლულია საქმეში და ორიენტირებულია განვითარებაზე* $F(2, 313) = 11.71, p < .000 < .05, \eta^2_p = .07$; *ჯენტლმენი* $F(2, 313) = 9.51, p < .000 < .05, \eta^2_p = .02$; რაც შეეება მესამე ფაქტორს, კვლავ *თბილი და ინტელიგენტი ადამიანი*-ს მახასიათებელი $F(2, 313) = 2.31, p = .1 > .05, \eta^2_p = .06$, არ აღმოჩნდა IT-ის შეფასებაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კომპონენტი (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22. N2, 3 და 4 პირობებში მიღებული IT -ის შეფასებების სტატისტიკურად სანდო სხვაობა (F)

ფაქტორები	საშუალო (სტანდარტული მნიშვნელობები)			F	Sig.	Eta
	N2	N3	N4			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,33	.36	-.097	11.71	.000	.264
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	.15	-.06	-.06	2.31	.101	.121
ჯენტლმენი	-.09	-.06	.32	9.51	.000	.239

* $p < .05$

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია არა ნედლი საშუალოები, არამედ საშუალოთა სტანდარტული მნიშვნელობები. ჯგუფები შედარებულია ANOVA ცხრილის საშუალებით.

N3 პირობასთან დაკავშირებით, სადაც IT-ის შესახებ ორივე ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ერთდროულად, არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით. ჩვენი დაშვებით, N3 ექსპერიმენტულ პირობაში, IT-ის შეფასება სამივე მახასიათებლის მიხედვით, უნდა მომხდარიყო იმ ქულით, რომელიც წარმოადგენს იგივე მახასიათებლის N2 და N4 პირობაში მიღებული შეფასებების საშუალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინფორმაციის ერთროულად მიწოდების შედეგად არც ერთი ტიპის ინფორმაციას არ უნდა ქონოდა დომინანტური გავლენა მიღებულ შთაბეჭდილებაზე (ისე როგორც ეს მოხდა სტერეოტიპულად დომინანტურ N2 ექსპერიმენტულ პირობაში ან ინდივიდუალურად დომინანტურ N4 ექსპერიმენტულ პირობაში). ამ პირობაში, უნდა მიგველო ისეთი შეფასება, რომელიც არ უახლოვდება არც N2 და N4 პირობაში მიღებულ შეფასებებს - შეფასება, სადაც ინფორმაციის ერთროულად მიწოდების გამო, თანაბრად არის გათვალისწინებული, როგორც IT-ის პროფესიული სტერეოტიპი, ასევე მისი ინდივიდუალური ქცევა. მოცემული ჰიპოთეზა არც ამ შემთხვევაში დადასტურდა, ექიმის თემის მსგავსად.

შეფასებების გასაშუალოების ნაცვლად:

IT - ის შესახებ პროფესიული და ქცევითი ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების შემთხვევაში, ის ისევე იქნა აღმული **ნეკლებად ჯენტლმენად** ($M = 6.23$; სტანდარტული მნიშვნელობა $-.06$), როგორც ეს მოხდა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების პირობაში (N2) ($M = 6.20$, სტანდარტული მნიშვნელობა $-.09$). რაც შეეხება პროფესიონალობის შეფასებას IT, ინფორმაციების ერთდროულად მიწოდების პირობაში, IT იმაზე **მეტად პროფესიონალი** აღმოჩნდა ($M = 8.02$;

სტანდარტული მნიშვნელობა .36), ვიდრე ეს იყო კვლავ N2 სტერეოტიპულ პირობაში ($M = 7.81$; სტანდარტული მნიშვნელობა .33). სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში მიღებული შეფასებები, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ორივე მახასიათებლის მიხედვით უფრო მეტად დაუახლოვდა IT-ზე სტერეოტიპულ პირობაში მიღებულ შეფასებებს (N2) ანუ იმ პირობის შეფასებებს, სადაც სტერეოტიპული ინფორმაცია მიწოდებული იქნა პირველ რიგად. (იხ. ცხრილი 23).

ცხრილი 23. N2 3 და 4 პირობის საშუალო მნიშვნელობები და მათ შორის სხვაობები, IT-ის სამივე მახასიათებლის მიხედვით

ფაქტორები	საშუალო შეფასებები			სხვაობა N3 და N2 პირობას შორის	სხვაობა N3 და N4 პირობ ას შორის	N3 პირობაში მოსალოდნელი საშუალო შეფასებები (N2 და 4 პირობაზე დაყრდნობი თ)
	N 2	N 3	N 4			
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	7.81	8.02	7.26	0.20	0.75	7.54
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი	7.24	7.42	7.24	---	---	---
ჯენტლმენი	6.20	6.23	6.81	0.03	0.57	6.50

შენიშვნა: ცხრილში ასევე მოცემულია N3 პირობაში ჰიპოთეზით მოსალოდნელი საშუალო სიხშირეები და ასევე, ის სხვაობები, რომელიც საფუძველზეც ჩანს, თუ რომელი პირობის შეფასებას დაუახლოვდა N3 პირობაში მიღებული შეფასებები (სამივე მახასიათებლის მიხედვით). საშუალოები წარმოდგენილი ნედლი, და არა სტანდარტიზირებული ქულების სახით.

ამრიგად, ინფორმაციების ერთდროულად მიწოდების პირობაში, IT ფიგურა აღქმულ იქნა, როგორც ძლიერ პროფესიონალი და ნაკლებად ჯენტლმენი ანუ ის შეფასებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში, იმის მსგავსად, როგორც ეს მოხდა N2 სტერეოტიპულ პირობაში (სადაც პირველ რიგად მიეწოდათ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია).

რაც შეეხება ერთდროულად მიწოდების პირობას, IT-შეფასებებმა არათუ არ გაამართლა ჰიპოთეზით გათვალისწინებული მოლოდინები (შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან

დაკავშირებით), არამედ არ დაემთხვა ექიმის იმავე პირობაში მიღებული შეფასებების პატერნსაც. ექიმის შემთხვევაში, ამავე პირობაში მიღებული შეფასებები მეტწილად განისაზღვრა, არა სტერეოტიპული, არამედ ინდივიდუალური ინფორმაციის მიერ.

მიუხედავად ამისა, გამოვლინდა შეფასებების პოლარიზების შემთხვევა - მიუხედავად იმისა, რომ ექიმისგან განსხვავებით, მოცემულ პირობაში IT-ის შეფასებები გადაწონა სულ სხვა ინფორმაციამ, ეს შეფასებები ასევე პოლარიზებული გახდა, როგორც ეს მოხდა ექიმის შემთხვევაში. უფრო კონკრეტულად კი: IT პროფესიონალიზმის თვისების მიხედვით, არა უბრალოდ სტერეოტიპულად, არამედ კიდევ უფრო სტერეოტიპულად იქნა აღქმული, ვიდრე თავად სტერეოტიპულ პირობაში (სადაც სტერეოტიპული მიეწოდა პირველ რიგად) (N2). რაც შეეხება მეორე მახასიათებელს - ჯენტლმენი - IT -ის შეფასება ამ მახასიათებლის მიხედვით არ გამხდარა უფრო უკიდურესი, მაგრამ საგრძნობლად დაუახლოვდა სტერეოტიპული პირობის შეფასებას (N2)

ცხრილი 24. N3 პირობაში მიღებული უკიდურესი შეფასებები (IT-ის თემა)

ფაქტორები	N2	N3	N4	
პროფესიონალი კომპიუტერების სპეციალისტი,	7.81	8.02	7.26	შემცირდა (დაუახლოვდა N2 შეფასებას)
თბილი და ინტელიგენტი ადამიანი;	7.24	7.42	7.24	---
ჯენტლმენი	6.20	6.23	6.81	შემცირდა (დაუახლოვდა N2 შეფასებას)

შენიშვნა: ცხრილში მოცემულია საშუალოს ნედლი ქულები

IT-ის შესახებ მიღებული შედეგების მოკლე შეჯამება (ექიმის თემაზე მიღებული შთაბეჭდილებების შედარებით)

სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში IT-ზე მიღებული შთაბეჭდილებებიდან ჩანს, რომ:

- ინფორმაციის მიწოდების რიგის გავლენა, ექიმის მსგავსად, IT-ზე მიღებულ შთაბეჭდილებებზეც დადასტურდა. IT-ი მახასიათებლები შეფასებულ იქნა იმ ინფორმაციის ჭრილში, რომელიც მიწოდებულ იქნა პირველ რიგად. - იმ პირობაში სადაც IT-სთან დაკავშირებით ჯერ მიწოდებული იქნა პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია, ხოლო შემდეგ ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაცია, IT შეფასებულა იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში - ეს გამოჩნდა, იმაში, რომ IT-ის სტერეოტიპული მახასიათებელი პროფესიონალია შეფასდა უფრო

მაღალი ქულით ($M=7.81$), ვიდრე ეს მოხდა ინდივიდუალური პირობაში ($M=7.26$). მართალია IT-ის პროფესიონალობის ეს მახასიათებელი, რიგის ორივე პირობაში დადებითი ქულით შეფასდა, თუმცა თუ ამ შეფასებებს შევადარებთ ვნახავთ, რომ მათ შორის სხვაობა რიგში პირველობის ეფექტთან ერთად იცვლება. ინფორმაციის რიგის ცვლილებას დაექვემდებარა ინდივიდუალური მახასიათებლის შეფასებაც - IT უფრო *ჯენტლმენი* აღმოჩნდა იმ პირობაში, სადაც ჯერ მიწოდებულ იქნა ინდივიდუალური ქცევითი და შემდეგ პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაცია ($M=.81$). (IT ნეკლებად შეფასდა ჯენტლმენად სტერეოტიპულ პირობაში ($M=6.20$) (იხ. ცხრილი 53).

➤ რიგის ეფექტისგან განსხვავებით, არ დადასტურდა ჩვენი მოლოდინი ექიმის შესახებ ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში. IT-ზე სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, არ მომხდარა შთაბეჭდილების გასაშუალოება. N2 პირობის მსგავსად, IT-ის შეფასება გადაწონა სტერეოტიპულმა პროფესიულმა ინფორმაციამ (იხ. ცხრილი 55). *(შეგახსენებთ, რომ ექიმის შემთხვევაში ერთდროული/პარალელური მიწოდების პირობაში, სტატისტიკურად სანდო სხვაობის მქონე მახასიათებლების შეფასება არა სტერეოტიპული, არამედ ინდივიდუალური ინფორმაციის გავლენით შეფასდა).*

- *აღსანიშნავია, რომ IT-ის შემთხვევაშიც N3 პირობაში ფიქსირდება შეფასებების პოლარიზება, თუმცა ეს პროცესი არც ისეთი ძლიერია. თუ ექიმთან სამივე მახასიათებელი (გნათლებული-წარატებული ადამიანი, მოუმწიფებელი-არაორგანიზებული ადამიანი, ინტელიგენტი) კიდევ უფრო უკიდურესი ქულით შეფასდა ვიდრე ეს მოხდა N2 და 4 პირობაში, IT-ისთან მხოლოდ ერთი მახასიათებელი (პროფესიონალია...) შეფასდა ამგვარად, მეორე მახასიათებელი (ჯენტლმენია) კი უბრალოდ დაუახლოვდა ყველაზე დაბალ შეფასებას, რომელიც მიღებული იქნა სტერეოტიპული პირობაში. ამრიგად, IT-ის შესახებ სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების დროს, შთაბეჭდილება დომინანტურად წარმართა სტერეოტიპულმა პროფესიულმა ინფორმაციამ. ამ ექსპერიმენტულ პირობაში, შთაბეჭდილების ფორმირების პროცესში არ დადასტურდა ინფორმაციების თანაბარი ინტეგრაცია და შეფასებების გასაშუალოება.*

4. შედეგების ანალიზი

4.1. დისკუსია

წარმოდგენილი კვლევის მიზანი არის შთაბეჭდილების ჩამოყალიბების პროცესში სტერეოტიპიზაციის პროცესის დომინანტურობის შესწავლა, რომელიც ვლინდება მიწოდებული სტერეოტიპული ინფორმაციის დომინანტურობაში, აღქმული ფიგურის შეფასებისას. ინდივიდუალური ინფორმაციისგან განსხვავებით, სტერეოტიპიზაცია/კატეგორიზაცია ინფორმაციის დამუშავების წარმართველ ძალად არის მიჩნეული, თუმცა მკვლევარების მიერ გამოთქმული ვარაუდით, მის დომინანტობას შესაძლოა აშუალებდეს ინფორმაციის მიწოდების რიგი. ჩვენი ექსპერიმენტი სწორედ იმ გავლენის შესწავლაზე იყო ორიენტირებული, რომელსაც ახდენს ინფორმაციის მიწოდების რიგი სოციალური ინფორმაციის სტერეოტიპულ თუ ინდივიდუალურ დამუშავებაზე. უფრო კონკრეტულად კი, შესწავლილ იქნა მიწოდების რიგში, პირველა მიწოდებული ინფორმაციის გავლენა პირველი შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაზე.

ჩვენი აზრით სტერეოტიპი იმ შემთხვევაში შეიზღუდება თუ ის არ იქნება მიწოდებული პირველ რიგად. ინდივიდუალური ინფორმაცია კი ისეთივე დომინანტური გავლენას შეიძენს, როცა ის იქნება მიწოდებული პირველ რიგად. იმას თუ როგორ ცვლის ერთ და იგივე სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის სხვადასხვა რიგად მიწოდება შთაბეჭდილებას, გამოვლინდა ექიმისა და IT-ის შესახებ შთაბეჭდილების ჩამოყალიბების მაგალითზე. 5 ექსპერიმენტულ პირობაში ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა რიგის მიხედვით ვარირებულ იქნა სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაცია ექიმისა და IT -ის შესახებ (თითოეული პროფესიული თემისთვის ცალცალკე). რიგის გავლენით შთაბეჭდილებაში მომხდარი ცვლილება გაიზომა: წარდგენილი სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციის მიერ, მათი შესაბამისი ასოციაციური მახასიათებლების აქტივაციის (აღძვრა/შეკავების)დონის გაზომვით.

ექსპერიმენტული მონაცემების დამუშავებამ გამოავლინა, რომ ჩვენი მოლოდინი ასოციაციური მახასიათებლების აღძვრა-შეკავებასთან დაკავშირებით, გაზომილიყო რა 1-6/7-11 ჭრილით, არ გამართლდა, მაგ.ექიმის შემთხვევაში, ერთ ერთი მახასიათებელი (*მოუწმიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი*) ინფორმაციის წარგდენის სამივე შემთხვევაში შეკავდა. მან მიიღო 1-6 შეფასება, როგორც ინფორმაციის სხვადასხვა რიგით, ასევე მათი ერთროულად წარგდენის დროს. მიუხედავად ამისა, შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა, რომ მიღებული შეფასებები მაინც მიყვება რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენას - უფრო კონკრეტულად კი, მართალია მახასიათებლები ხშირად ორივე ექსპერიმენტულ პირობაში (იქ სადაც ვარირებული რიგის ფაქტორი - N2 და N4) შეკავდა ან აღძვრა, მაგრამ ამ შეკავების და აღძვრის დონეებს შორის სხვაობა მიყვება

რიგში პირველად მიწოდებული ინფორმაციის გავლენას და ეს გავლენა სტატისტიურად სანდოა.

ამგვარად, ასოციაციურ მახასიათებელთა აღძვრა-შეკავების სტატისტიკური გაზომვის პრინციპის ნაცვლად (რომელიც არ გამართლდა), დავეყრდენით აღძვრა-შეკავების დონეების- გრადაციული გაზომვის პრინციპს. შესაბამისად, სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში, თითოეული მახასიათებლის შეფასებების ანალიზისას, გავითვალისწინეთ ის თუ რომელი რიგის პირობაში უფრო მეტად ან ნაკლებად შეკავდა (ან გააქტიურდა) მოცემული მახასიათებელი.

ჩვენი მონაცემების ანალიზისას დავეყრდენით, აქივაციის სწორედ ასეთ დონეებს. ერთმანეთს შევადარეთ სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობაში მიღებული შეფასებები (ცალკე ექიმისთვის და ცალკე IT-თვის). მიღებულია შედეგები შემდეგნაირია:

1. დადასტურდა რიგში პირველობის ეფექტი. ექიმის და IT-ის ფიგურის შესახებ ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება მეტწილად განისაზღვრა იმ ინფორმაციით, რომელიც მიწოდებულ იქნა პირველ რიგში. სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების დროს, სტერეოტიპული ინფორმაციით აღძრული მახასიათებლები შეფასდა უფრო მაღალი ქულით, ვიდრე იგივე მახასიათებელი შეფასდა შებრუნებული რიგის პირობაში (სადაც პირველად წარმოდგენილ იქნა ინდივიდუალური ინფორმაცია), ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებლები შეფასდა უფრო დაბალი ქულით, ვიდრე იგივე მახასიათებელი ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობაში.

იმ შემთხვევაში, როცა პირველ რიგად მიწოდებულ იქნა სტერეოტიპული პროფესიული ინფორმაცია, ექიმის ფიგურა დანახულ იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში - ეს გამოვლინდა მისი ინდივიდუალური მახასიათებლის სტერეოტიპულ შეფასებაში, რომლის მიხედვითაც ექიმის შეფასდა ნაკლებად მოუმწიფებელ და არაორგანიზებულ ადამიანად. იმის გამო, რომ ექიმის ინდივიდუალური ქცევა, როგორც არის კომპიუტერული თამაშის თამაში და ბინძურ ოთახში ჯდომა, არ ჯდება ექიმის სტანდარტულ წარმოდგენაში, ამ ქცევით გამოწვეული ასოციაციური მახასიათებელი სტერეოტიპის დომინანტურობის პირობაში შეკავდა. ამის საპირისპიროდ, როცა პირველ რიგად წარდგენილ იქნა სტერეოტიპის საწინააღდეგო ქცევით ინფორმაცია ექიმი შეფასდა ამ ქცევის ჭრილში - იგი შეფასებულ იქნა უფრო მოუმწიფებელი და არაორგანიზებული ადამიანი. როგორც ჩანს, ქცევით ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდებამ, უფრო მეტად აღძრა ამ ინფორმაციით შესაბამისი ასოციაციები და ამით, უფრო მეტად შეაკავა ექიმის სტერეოტიპული ხატი.

ზუსტად მსგავსი რამ გამეორდა IT-ის ფიგურის შეფასებაში. სტერეოტიპის პირველ რიგად მიწოდების შედეგად, IT-ი შეფასებულ იქნა პროფესიული სტერეოტიპის ჭრილში, როგორც ნაკლებად ჯენტლმენი და საქმეზე ორიენტირებული, პროფესიონალი ადამიანი. პროფესიული სტერეოტიპული ინფორმაციის პირველობის პირობაში, სტერეოტიპული მახასიათებელი შეფასებულ იქნა უფრო მაღალი ქულით, ხოლო ინდივიდუალური ინფორმაციით გააქტიურებული მახასიათებელი (ჯენტლმენია) უფრო დაბალი ქულით, ვიდრე ეს მოხდა იგივე ინფორმაციის შებრუნებული რიგით მიწოდების შემთხვევაში. როგორც ჩანს, სტერეოტიპული ინფორმაციის პირველობის პირობაში, იმის გამო რომ კლასიკური მუსიკის სმენა და ქოთნის ყვავილების ქონა არ შეესაბამება IT-ის სტერეოტიპს, ინდივიდუალური ინფორმაციით გამოწვეული მახასიათებელი შეკავდა. ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობაში კი, IT შეფასებულ იქნა როგორც უფრო ჯენტლმენი და ნაკლებად საქმეზე ორიენტირებული პროფესიონალი. ამ შემთხვევაში, ინდივიდუალური ინფორმაციის დომინანტურობამ გამოიწვია სტერეოტიპული ინფორმაციის უფრო შეკავება და ინდივიდუალური მახასიათებლის მეტი აღძვრა, ვიდრე ეს მოხდა სტერეოტიპის პირველობის შემთხვევაში.

ამრიგად სტერეოტიპული ინფორმაცია არ არის ერთმნიშვნელოვნად და უპირობოდ დონინატური, მისი დომინანტურობა გაშუალებულია ისეთი ფაქტორით, როგორც არის ინფორმაციის მიწოდების რიგი. სოციალური ინფორმაციის დამუშავების პროცესში იგივენიერად დომინანტურობაში იძლევა გამოავლინოს ინდივიდუალურმა ინფორმაციამაც, თუკი ის არის წარდგენილი პირველ რიგად.

ჩვენს კვლევაში მიღებული ეს შედეგები აგრძელებს აშის მოსაზრებას პირველობის ეფექტთან დაკავშირებით. მის კლასიკურ კვლევაში (1946) მონაწილეებს წარედგინათ ერთი და იგივე ზედსართავი სახელების წყება ორი სხვადასხვა რიგით. წყებაში მოცემული იყო 2 სოციალურად სასურველი და 4 სოციალურად არასასურველი თვისების გამომხატველი ზედსართავი სახელები. მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეთა ორივე ჯგუფიდან, დიდი უმრავლესობის მიერ გამოთქმული შთაბეჭდილება წარიმართა პირველ რიგად მიწოდებული ზედსართავი სახელების გავლენით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წყების ბოლოში მოცემული ზედსართავების მნიშვნელობა ინტერპრეტირებულ იქნა იმ

ზედსართავების გავლენით, რომელიც წარდგენილ წყებაში მოცემულ იყო პირველ-მეორე ადგილზე. დადებით ზედსართავების პირველ რიგებში წარდგენის შემთხვევაში, წყების მომდევნო მახასიათებლები ინტერპრეტირებულ იქნა უფრო დადებითად. ხოლო უარყოფითი ზედსართავების პირველ-მეორე რიგად წარდგენის შემთხვევაში, იგივე ინფორმაცია, მათ შორის დადებითი მახასიათებლებიც, ინტერპრეტირებულ იქნა ნეგატიურად (Asch, 1946). ჩვენი ექსპერიმენტულ მონაცემებზე იგივე შედეგს იმეორებს: ექიმისა და IT-ის პიროვნება იმ ინფორმაციის ჭრილში იქნა დანახული, რომელიც მიწოდებულ იყო პირველ რიგში - სტეროტიპის პირველობის შემთხვევაში ორივე - სტერეოტიპული და ინდივიდუალური ტიპის მახასიათებლები შეფასებულ იქნა სტეროტიპის გავლენით, ხოლო ინდივიდუალური ქცევითი ინფორმაციის პირველობის პირობებში, იგივე მახასიათებლები შეფასებულ იქნა ამ ქცევის ჭრილში.

2. რიგში პირველობის ჰიპოთეზისგან განსხვავებით, არ დადასტურდა ჩვენი მოსაზრება შთაბეჭდილების გასაშუალოებასთან დაკავშირებით ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობებში. IT-ის შეფასების შემთხვევაში შეფასებები გადაიხარა სტერეოტიპული ინფორმაციის მიმართულებით, ხოლო ექიმის შემთხვევაში ინდივიდუალური ინფორმაციის მიმართულებით. პდშთ-ის თანახმად, ინფორმაციის ერთდროული აღქმის შემთხვევაში, ყველა ინფორმაციას - როგორც სტერეოტიპულს, ასევე ინდივიდუალურს - შთაბეჭდილების ჩამოყალიბებაში აქვს თანაბარი სტატუსი. არც ერთი მათგანი არ წარმართავს შთაბეჭდილებას დომინანტურად.

ჩვენი კვლევის შემთხვევაში გამოვლინდა აშკარა დომინანტურობა, თუმცა ექიმის და IT-ის ფიგურის შეფასებაში ეს დომინანტურობა გამოვლინდა ორი სხვადასხვა მიმართულებით.

3. ერთდროული მიწოდების პირობაში, მიღებული შთაბეჭდილებები არათუ უბრალოდ გადაიხარა სტერეოტიპული თუ ინდივიდუალური ინფორმაციის მიმართულებით, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა (ერთ ერთი მიმართულებით). უფრო კონკრეტულად, ერთდროული მიწოდების პირობაში დაფიქსირდა იმაზე მეტად უკიდურესი შეფასებები, ვიდრე ეს მოხდა სტერეოტიპის პირველობის ან ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობაში. შეგახსენებთ, რომ ერთდროული მიწოდების პირობაში, სწორედ სტერეოტიპული და

ინდივიდუალური ინფორმაციის პირველობის პირობებში მიღებული შეფასებები უნდა გაშუალებულიყო. თუმცა შეფასებები არათუ გაშუალოვდა, არამედ გაძლიერდა კიდევ ექიმის შემთხვევაში ინდივიდუალური, ხოლო IT-ის შემთხვევაში სტერეოტიპული შეფასებების მიმართლებით.

ექიმის შემთხვევაში შეფასებები უფრო უკიდურესი გახდა სამივე მახასიათებლის შეფასებაში - ექიმის სამივე მახასიათებელი იმაზე უფრო ინდივიდუალურად შეფასდა, ვიდრე ეს მოხდა თავად ინდივიდუალისტური ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების პირობაში. IT-ის შემთხვევაშიც შეფასებები უკიდურესი გახდა. თუმცა, IT-ისთან, სტატისტიკურად სანდო სხვაობის მქონე ორიმახასიათებლიდან, ერთი მკაფიოდ უკიდურესი გახდა - IT-ის ერთი მახასიათებელი (საქმეზე ორიენტირებული პროფესიონალი) შეფასდა კიდევ უფრო სტერეოტიპულად, ვიდრე ეს მოხდა სტერეოტიპული ინფორმაციის პირველ რიგად მიწოდების პირობაში, ხოლო მისი მეორე მახასიათებელი (ჯენტლმენია) უბრალოდ ძლიერ დაუახლოვდა სტერეოტიპული პირობის შეფასებას, ამავე მახასიათებლის მიხედვით.

სტერეოტიპული და ინდივიდუალური ინფორმაციების ერთდროულიად მიწოდების პირობაში ასეთი პოლარიზებული შეფასებები, შეიძლება აიხსნას მიწოდებული ინდივიდუალური ინფორმაციის ნეგატიური შინაარსით. ექიმისთვის გამოყენებული ინდივიდუალისტური ქცევითი ინფორმაცია - კომპიუტერული თამაშის თამაში და ბინძურ ოთხაში ჯდომა - არ არის ექიმისთვის სოციალურად მისაღები ქცევა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ შესაძლოა სწორად ამიტომ ამ ინფორმაციამ გადაწონა ექიმის მთლიანი შეფასება მაშინაც კი, როცა პარალელურ რეჟიმში მიწოდებულ იქნა პროფესიული ინფორმაცია. რაც შეეხება IT-ის შემთხვევას, პოლარიზება დაფიქსირდა არა ინდივიდუალური, არამედ სტერეოტიპული ინფორმაციის მიმართულებით. ექიმისგან განსხვავებით, IT-თან გამოყენებული ინდივიდუალური ქცევა არ არის სოციალურად მიუღებელი ქცევა. პირიქით, კლასიკური მუსიკის სიყვარული და ქოთნის ყვავილები ასოცირდება პოზიტიური ვალენტობის მქონე ქცევასთან. შესაბამისად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მოცემული დადებითი ინდივიდუალური ქცევის ფონზე, ინფორმაციების ერთდროულად წარგდენის პირობაში, პარალელურად მიწოდებული სტერეოტიპული ინფორმაცია, რომელიც გამოიხატა IT-ის არეულ და ბინძურ გარემოში, უფრო უარყოფითად შეფასდა. ჩვენ კვლევაში მიღებული ეს მონაცემი

შეესაბამება ნეგატიური ინფორმაციის გავლენაზე აქამდე ჩატარებულ კვლევებს. ის რომ ნეგატიური სოციალური ინფორმაცია მეტად იქცევა ყურადღებას და მეტადაც გვამახსოვრდება დადასტურებულია ემპირიულად. ნეგატიური ინფორმაცია დომინანტურად წარმართავს, შთაბეჭდილების არამართო მიმდინარე პროცესს, არამედ ერთ კვირის შემდეგ გაკეთებულ შეფასებებსაც. მეტიც ასეთ დროს, ნეგატიური ინფორმაციის გავლენა ინდივიდის შეფასებაზე კიდევ უფრო იზდება (Richey, McClelland & Shimkunas, 1967). ნეგატიური ქცევითი ინფორმაციის გავლენა იმდენად ძლიერია, რომ ის მაშინაც კი გადაწონის შთაბეჭდილებას, როცა საქმე ეხება ნაცნობის და არა უცნობი ინდივიდის შეფასებას (Richey, Richey & Thueman, 1972). ის ყოველთვის არაპროპორციულად მოქმედებს მიღებულ შთაბეჭდილებაზე, რის საფუძველზეც უკუგდება ინფორმაციის ინტეგრაციის გასაშუალოებისა და დაჯამების მექანიზმი (Cusumano & Richey, 1970). აღსანიშნავია, რომ ნეგატიური ინფორმაციის ასეთი ძალის მიუხედავად, ერთდროული მიწოდების პირობისგან განსხვავებით, სხვადასხვა რიგით მიწოდების პირობებში, შთაბეჭდილებაზე იმ ინფორმაციამ მოახდინა გავლენა, რომელიც მიწოდებულ იქნა პირველ რიგად და არა იმან, რომელიც იყო ნეგატიური ვალენტობის.

4.2. ბადისებრი ქსელის მოდელის შეფასება და კონტრასტის ეფექტის მნიშვნელობა

თუ შევაჯამებთ, ხსენებული პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი, რომელიც ეფუძნება ასოციაციური ბადის სტრუქტურასა და იქ მიმდინარე შეკავება აღძვრის პროცესებს, ხსნის პირველად მიწოდებული ინფორმაციის იმ დომინანტურ გავლენას, რომელიც მივიღეთ მოცემულ კვლევაში. ინფორმაციის დამუშავების ასეთი კოგნიტური სტრუქტურა, ნათლად გვაჩვენებს იმას, თუ რამდენად რთულია საწყის ეტაპზე განხორციელებული მსჯელობის (რწმენის) შეცვლა (Read, Vamnan & Miller, 1997). მოდელის მიხედვით, ინფორმაცია, რომელიც პირველ რიგად შემოვიდა ასოციაციური ბადის სისტემაში, მასთან დაკავშირებული ასოციაციების გააქტიურებით, ააქტიურებს ბადის იმ ზედაპირს, რომელიც შეესატყვისება მოცემულ მომენტში შემოსულ ინფორმაციას. გააქტიურება მოცემული სისტემის ტერმინებით, წარმოადგენს ასოციაციური ბადის ზედაპირზე არსებული ენერჯის აქტივაციას. ენერჯის ასეთი აქტივაცია, იწვევს სისტემის ტენდენციას, დაუბრუნდეს წონასწორობის მდგომარეობას - ე.წ. მინიმუმს. შთაბეჭდილების ფორმირების პროცესთან მიმართებაში, წონასწორობის მდგომარეობა სხვა არაფერია თუ არა, გააქტიურებულ ასოციაციებს შორის, ლოგიკური -

დამაკმაყოფილებელი შეზღუდვების (აღძვრა-შეკავების პროცესის) განხორციელება. სწორედ ასეთ მინიმუმთან მიახლოებით, სისტემში მიმდინარე ენერჯის აქტივაცია (აღძვრა შეკავების პროცესების სახით) აღწევს თავის სტაბილურ მდგომარეობას (Read, Vamnan & Miller, 1997, p: 36).

პირველად მიწოდებული ინფორმაციის დომინანტური ეფექტი, სწორედ ამ სტაბილურ მდგომარეობის მიღწევამდე პროცესში ვლინდება. მანამდე, სანამ სისტემა იპოვის დამაკმაყოფილებელ შეზღუდვის გზას და ამ ფორმით მიაღწევს სტაბილიზაციას, ის იწყებს ბადეში ყველა გააქტიურებული კვანძის იმ ადგილისკენ მიზიდვას, სადაც გააქტიურებულია ენერჯია. ამ ფორმით, იქმნება ერთგვარი ენერგეტიკული ველი ან ჭა, რომელიც თავისკენ იზიდავს ყველა აღქმულ ან გააქტიურებულ ინფორმაციას. ეს კი თავის მხრივ, ყოველ შემდგომ შემოსულ ინფორმაციას, ხელს უშლის თავი დააღწიოს სისტემაში უკვე გააქტიურებული არის გავლენისაგან (Read, Vamnan & Miller, 1997, p: 36). ამგვარად, ყოველი ახალი შემოსული ინფორმაციისთვის სულ უფრო რთული ხდება შეცვალოს უკვე შესრულებული ინტერპრეტაციის მიმართულება (შინაარსი). მეტიც, ის არათუ ვერ ცვლის უკვე შემდგარი მსჯელობის - აზრის შინაარსს, არამედ თავად ინტერპრეტირდება ამ აზრის ჭრილში, რის გამოც ეცვლება მნიშვნელობა მნიშვნელობას.

ამგვარად, პარალელური დამაკმაყოფილებელი შეზღუდვის მოდელი და აღძვრა შეკავების ასოციაციური ბადე, ოპერირებენ ფიზიკის ტერმინებით, თუმცა ისინი ნათლად ხსნიან იმ პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის დამუშავების პროცესში ინფორმაციის პირველობის ეფექტთან.

ის რომ პირველად მიწოდებული ინფორმაციის შედეგად, ასოციაციათა ბადეში აქტიურდება კავშირების მთელი ველი, რომელშიც აქტივაციის იმპულსი ბრუნავს წრეზე, მანამ სანამ აქტივაცია არ მიაღწევს მინიმუმს, გასაგებს ხდის პირველი ინფორმაციის განსაკუთრებულ გავლენას და იმას თუ, როგორ უჭირს ყოველ ახლად შემოსულ ინფორმაციას შექმნილი ველის მიზიდულობიდან ამოსვლა. მაგრამ, როგორ შეიძლება აიხსნას, იგივე კოგნიტური მექანიზმით, ის პოლარიზებული შეფასებები, რომლებიც მივიღეთ ინფორმაციის ერთდროული მიწოდების პირობებში. სამწუხაროდ, მოცემული მოდელის ფარგლებში რთულია ახსნის მოძებნა, დამატებითი კვლევების ჩატარების გარეშე. თუმცა ჩვენ მაინც ვცდილობთ, გამოვთქვათ გარკვეული ვარაუდი ამ მიმართულებით.

ვეფუძნებით რა მოცემულ კვლევაში მიღებულ შედეგებს, ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის მქონე ინფორმაციის ერთდროული მიწოდების შემთხვევაში, აქტიურდება მხოლოდ ერთიერთი ინფორმაციის შესაფერისი ველი, ისე როგორც ეს ხდება პირველობის ეფექტის დროს. თუმცა ამ შემთხვევაში, მიწოდებული ინფორმაციებიდან, ის თუ რომელი ინფორმაციის ველი გააქტიურდება დამოკიდებულია ამ მიწოდებული ინფორმაციის

გარკვეულ მახასიათებლებზე, მათ შორის განსაკუთრებით კონტრასტისეფექტზე. მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირობაში მიღებული პოლარიზებული შეფასებები, მართლაც ვალენტობის გავლენით შეიძლება აიხსნას, მაინც გვინდა ცალკე გამოვყოთ კონტრასტის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ერთროული მიწოდების პირობის მსგავსად, რიგის პირობებშიც (N2 და N4) ერთი და იგივე ინფორმაცია იქნა მიწოდებული, მაგრამ პოლარიზებული შეფასებები, სწორედ ერთროული მიწოდების პირობაში იქნა გამოვლენილი. კუნდასა და თაგარდის მიხედვით (1996), როცა სტერეოტიპის საწინააღდეგო ინფორმაცია არის მიწოდებული აღქმელი ახდენს შუალედურ შეფასებებს (ანუ ხდება შეფასების გასაშუალოება, იმ შეფასებებიდან გამომდინარე, რომელიც მიღებულ იქნა თითოეული ინფორმაციის ცალცალკე მიწოდების შემთხვევიდან). თუმცა ასეთი გასაშუალოების გარდა, აღქმელი ასევე მიმართავს პოლარიზებულ შეფასებებსაც. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა აღქმელს მიეწოდება სტერეოტიპის ძლიერ საწინააღდეგო ინდივიდუალური ინფორმაცია (Kunda & Thagard, 1996). ის ფაქტი, რომ ჩვენს კვლევაში გამოყენებულია სწორედ ასეთი ტიპის ინდივიდუალური ქცევით ინფორმაცია ვლიდება ექსპერიმენტის მონაწილეთა ვერბალურ პასუხებში, სადაც ისინი გამოხატავენ აშკარა გაკვირვებას ექიმისა და IT-ის ქცევის მიმართ.

ის რომ მართლია კვლევაში ძლიერ კონტრასტული მასალა არის გამოყენებული, ასევე ჩანს ახლად შექმნილი ატრიბუტების პრინციპიდან გამომდინარე. ახლად შექმნილი ატრიბუტები ეს არის ის მახასიათებლები, რომლებიც უკავშირდება კონკრეტული ქვესტერეოტიპის გააქტიურებას (*ქვესტერეოტიპი წარმოადგენს კონკრეტული სტერეოტიპის ატიპურ წევრს (კატეგორიის) მენტალურ ასახვას, მაგ: კულტურული IT ან ზარმაცი ექიმი*). უფრო კონკრეტულად კი, ახლად შექმნილი ატრიბუტი არის მახასიათებელი, რომელიც იქმნება იმისთვის, რომ ლოგიკურად აიხსნას აღქმული ორი ურთიერთსაწინააღდეგო ინფორმაცია (მაგ: ჰარვარდის კურსდამთავრებული, რომელიც მუშაობს მღებავად) (Kunda & Thagard, 1996). ახლად შექმნილი ატრიბუტები იქმნება ორი თანდაყოლილი ატრიბუტის გაერთიანების შედეგად, საიდანაც თითოეული თავის მხრივ წარმოადგენს იმ ასოციაციურ მახასიათებელს, რომელსაც აქტიურებს თითოეული კატეგორია აღებული ცალკე (Hastie, Schroeder & Weber, 1990; Kunda & Thagard, 1996; Hutter & Crisp, 2007) (მაგ: ჰარვარდ დამთავრებული, მღებავის შემთხვევაში ასეთ ატრიბუტი შეიძლება იყოს „არტიტულობა„ (Kunda & Thagard, 1996)). ახლად შექმნილი ატრიბუტების გაზომვა ხდება მათი, დახასიათების დროს ჩამოთვლილ ზედსართავებში, მათი და თანდაყოლილი ატრიბუტების რაოდენობის დათვლით (Hastie, Schroeder & Weber, 1990; Kunda & Thagard, 1996; Hutter & Crisp, 2007). თუმცა, ამ მეთოდის, გარდა, ჰესტიმ და მისმა კოლეგებმა (1990) ახლად შექმნილი ატრიბუტების შექმნის პროცესი შეფასების სკალითაც გაზომეს - გაზომვის ამ მეთოდის მიხედვით, ზედსართავის ის შეფასებები, რომლებიც მოხვდა შეფასების გარეთ, ჩაითვალა პოლარიზებულ შეფასებად და შესაბამისად, ახლად შექმნილი ატრიბუტის მაჩვენებლად (ასევე, ქვეკატეგორიის აქტივაციის მაჩვენებლად).

გარე შეფასების განსასაზღვრად აღებულ იქნა შეფასების საზღვრები, რომელიც სკალაზე მოცემულმა მახასიათებელმა (ზედსართავმა მიიღო) მიიღო არა ერთად მიწოდებული ორი საწინააღდეგო კატეგორიული ინფორმაციის წარდგენის შედეგად (მაგ: მედდა კაცი), არამედ თითოეული კატეგორიული ინფორმაციის ცალცალკე წარდგენის დროს (ცალკე მედდა, ცალკე კაცი) (Hastie, Schroeder & Weber, 1990). თუ ჩვენ გაზომის ამ მეთოდს დავუკავშირებთ ჩვენიკვლევის შედეგებს, შესაძლოა ჩვენსკვლევაში გამოვლენილი პოლარიზებული შეფასებებიც სწორად ახლად შექმნილი ატრიბუტების შექმნისა და ქვეკატეგორიის გააქტიურების როცეს ასახვდეს (რომელიც საფუძველს იღებს აღმქმელის მდებლობიდან, ლოგიკურად ახსნას აღქმული ორი ურთიერთწინააღდეგობრივი ინფორმაცია ექიმისა თუ IT-ის შესახებ).

ამგვარად, კონტრასტი მართლაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთწინააღდეგობრივი ინფორმაციის დამუშავების დროს. ჩვენს ექსპერიმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია კი სწორედ ასეთ ტიპის ინფორმაციაა.

როგორც უკვე ვახსენეთ, ბადესმიერი ქსელი მოდელი, ვერ ხსნის ერთდროული ინფორმაციის მიწოდების შედეგად გამოწვეულ კონტრასტის ეფექტს. საინტერესოა მართლაც რა ხდება ამ დროს, ასოციაციური ბადის სისტემის ზედაპირზე, ენერჯის გააქტიურებისა და მიზიდვის პრინციპიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნებოდა დისტანციის და სიახლოვის პრინციპის გათვალისწინება, ბადეში გააქტიურებულ ორ რეპრეზენტაციას შორის. თ გავიხსენებთ ლუხინების კვლევას (1984) კონტრასტის ეფექტი და პირველობაც კი, შესაძლებელია გაიზომოს დისტანციის ტერმინებში საწყის მიწოდებასა და შემდეგ მიწოდებულ ინფორმაციას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ავტორები არ ხსნიან დისტანციის კოგნიტურ მექანიზმებს, ჩვენ ვფიქრობთ რომ დისტანციის დაკავშირება ბადისმიერ ქსელთან, მოგვცემს ინფორმაციის ერთდროული მიწოდების და პოლარიზაციის შემთხვევების ახსნის შესაძლებლობას.

4.3. მოცემული კვლევის შეზღუდვები

წარმოდგენილი კვლევა ჩატარდა რამდენიმე ეტაპად. თითოეულ ეტაპზე შერჩევა განხორციელდა რესპონდენტების არსაკმარის ოდენობაზე და ამავე დროს შერჩევისთვის გამოყენებულ იქნა **ხელმისაწვდომი მეთოდი**.

ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევის ყოველ ეტაპზე განხორციელებულ შერჩებაში **მამრობითი სქესის რესპონდენტების წილი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მდედრობითი მონაწილეების რაოდენობას**. ასევე, კვლევაში ძირითადად მონაწილეობა მიიღეს **ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა**, შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ კვლევა

ეხება ბაზისური კოგნიტური პროცესის შესწავლას, ის შეიძლება სწორედ და მხოლოდ ამ პროფესიის ინდივიდებში მიმდინარე კოგნიტურ პროცესს ასახავდეს.

შერჩევის გარდა, აღსანიშნავია, რომ ექსპერიმენტულ ნაწილში არ მომხდარა მონაწილეების **შემთხვევებით გადანაწილება** ექსპერიმენტულ პირობებში.

ექსპერიმენტულ ნაწილში, ასევე ვერ განხორციელდა ყველა **გვერდითი ცვლადის** გაკონტროლება, ეს განსაკუთრებით ეხება ფოტოებს: შეგახსენებთ, რომ ექიმისა და IT-ის ფოტოში ფიგურის სქესის გაკონტროლების მიზნით გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთი ტიპის ინფორმაცია (არჩეულ იქნა ერთი სქესის ფიგურები). სამწუაროდ, ფოტოებში არ გაკონტროლებულა ინფორმაცია **ფიგურის ასაკის** შესახებ. ექიმთან და IT-ის ფოტოებში გამოყვანილ იქნა ორი განსხვავებული ასაკობრივი კატეგორიის ადამიანი. ასაკი წარმოადგენს ისეთივე ავტომატურ სტერეოტიპულ კატეგორიას, რგორიც არის პროფესია და სქესი. შთაბეჭდილებების ანალიზის პრცესში, ასაკის სავარაუდო გავლენის ინდენტიფიცირება ინტერპრეტაციაზე არ მომხდარა. ასევე, ფოტოებში გარკვეული დეტალები, როგორიც არის ფიგურის ვარცხნილობა, მისი ჩაცმულობა ინდივიდიუალისტური ფოტოში, განსაზღვრულ იქნა ჩვენს მიერ, სუბიექტურად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის რომ ინდივიდუაციურ ფოტოში არ გაკონტროლებულა გადმოცემული **ქცევითი ინფორმაციის ვალენტობა**. ექიმისთვის და IT-ისთვის გამოყენებული ინდივიდუაციური ქცევები წარმოადგენენ სხვადასხვა ვალენტობის მქონე შინაარსებს, საიდანაც ერთი არის აშკარად ნეგატიური და სოციალურად გაუმართლებელი, ხოლო მეორე პოზიტიური და მისაღებია. სწორედ ამის გამო, შესაძლებელია არ გამართლდა ჩვენი მოლოდინი ინფორმაციის ერთდროულად მიწოდების პირობაში შთაბეჭდილებების გასაშუალოებასთან დაკავშირებით (როცა ექიმის შესახებ შთაბეჭდილება გადაწონა ნეგატიურმა ქცევითმა ინფორმაციამ, ხოლო IT-ისთან პოზიტიური ინდივიდუაციური ინფორმაციის ფონზე, შთაბეჭდილება გადაწონა სტერეოტიპულმა ინფორმაციამ).

ექსპერიმენტში, ასევე სუბიექტურად მოხდა ყურადღების გადამტანი **ფერების დავალების** შერჩევა და ყურადღების გადასატანი 10-15 წუთიანი ინტერვალის გამოყენება.

მიწოდებული ინფორმაციის რიგის გავლენა პირველ შთაბეჭდილებაზე

სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ნაშრომები:

Cognitive Models of First Impression. საკონფერენციო ნაშრომი, 2nd Advances in Hospitality and Tourism Marketing and Management Conference.

ISBN: 978-960 – 287 – 139 - 3